



ქუთაისის
უნივერსიტეტი

ეკონომიკური პროფილი
ECONOMIC PROFILE

ტომი 18, N2 (26), 2023
VOLUME 18, ISSUE 2 (26) 2023



ქუთაისის უნივერსიტეტი
KUTAISI UNIVERSITY
2023

ქუთაისის უნივერსიტეტის რეფერირებადი და
რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-
პრაქტიკული ჟურნალი

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე
პასუხისმგებელია ავტორი.

ამასთან, მისი პოზიცია შესაძლოა არ ემთხვეოდეს ჟურნალის სარედაქციო
კოლეგიის მოსაზრებებს.

აკრძალულია ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამრავლება და
გამოქვეყნება კომერციული მიზნებისათვის.

REFEREED AND PEER-REVIEWED
INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL
JOURNAL
OF KUTAISI UNIVERSITY

Each author is responsible for the accuracy of the
article in this journal. His/her position may not coincide
with the opinions of the editorial board

Reproduction or distribution of the materials
published in this journal for commercial purposes is
strictly prohibited

<http://economicprofile.org/>
ISSN 1512-3901
eISSN 2587-5310
DOI: <https://10.52244/ep>

2023

სარედაქციო კოლეგია:

პროფესორი **ნიკოლოზ ჩიხლაძე** (მთავარი რედაქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტი); პროფესორი **გოჩა თუთბერიძე** (ევროპის უნივერსიტეტი); პროფესორი **იოსებ არჩვაძე** (ქუთაისის უნივერსიტეტი); პროფესორი **გივი ბედიანაშვილი** (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი **თეონა გრიგოლაშვილი** (ქუთაისის უნივერსიტეტი); პროფესორი **ზადრი გეჩხაია** (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი **ლია ელიაშვილი** (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი); პროფესორი **მირზა ხიდაშელი** (ქუთაისის უნივერსიტეტი); პროფესორი **პანტელეიმონ კლდიაშვილი** (ქუთაისის უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი **ნაირა ვირსალაძე** (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი **ხათუნა შალამბერიძე** (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი **გურამ უფლისაშვილი** (ქუთაისის უნივერსიტეტი); პროფესორი **ლაშა ბერიძე** (წმ. ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტი); პროფესორი **აზა იფშირაძე** (ქუთაისის უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი **გოდერძი შანიძე** (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი **ნანა შონია** (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი **აკაკი ბაკურაძე** (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი **მურმან ცეცხლაძე** (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი **ციური დურული** (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი **იური პაპასქუა** (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი **გიორგი ღავთაძე** (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი); პროფესორი **რევაზ შენგელია** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი); პროფესორი **პაატა კოლუაშვილი** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი); პროფესორი **ევგენი ბარათაშვილი** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი); პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **ავთანდილ სილაგაძე** (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი **ლოიდ ქარჩავა** (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი); პროფესორი **ნანა რინკიაშვილი** (იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი **ინეზა გაგნიძე** (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი **ნინო ფარესაშვილი** (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი **მიხეილ თოქმაზიშვილი** (წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ქართული უნივერსიტეტი); პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **მიხეილ ჯიბუტი** (ანდრია პირველწოდებულის სახელობის საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ქართული უნივერსიტეტი);

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები: პროფესორი **სერგეი ლუკინი** (ბელორუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოცირებული პროფესორი **იულიან იგნატოვი** (ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტი, რუმინეთი); ასოცირებული პროფესორი, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, **ვერა კომაროვა** (დაუგავპილის უნივერსიტეტი, ლატვია); ასოცირებული პროფესორი **ევგენი გაიდანკა** (ტრნავას უნივერსიტეტი, სლოვაკეთი); პროფესორი **ლევან ჩიხლაძე** (რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი); პროფესორი **სერგეი ზახარინი** (ეკონომიკური განვითარების კვლევითი ინსტიტუტი, უკრაინა); ასოცირებული პროფესორი **თეიმურაზ აბესაძე** (სამხრეთ ნორვეგიის უნივერსიტეტი, ნორვეგია); პროფესორი **ელენა ბაკულიძე** (ტრანსპორტის ნაციონალური უნივერსიტეტი, უკრაინა); პროფესორი **გინდრუტ კასნაუსკიენე** (ვილნიუსის უნივერსიტეტის, ლიეტუვა)

EDITORIAL BOARD:

Professor **Nikoloz Chikhladze** (Chief Editor, Kutaisi University); Professor **Gocha Tutberidze** (European University University); Professor **Joseph Archvadze** (Kutaisi University); Associated Professor **Teona Grigolashvili** (Kutaisi University); Professor **Givi Bedianashvili** (Grigol Robakidze University); Professor **Badri Gechbaia** (Batumi Shota Rustaveli State University); Professor **Lia Eliava** (Georgian National University); Professor **Mirza Khidasheli** (Kutaisi University); Professor **Panteleimon Kldiashvili** (Kutaisi University); Associated Professor **Guram Uphlisashvili** (Kutaisi University); Professor **Tsiuri Duruli** (Gori State Teaching University); Professor **Aza Iphshiradze** (Kutaisi University); Associated Professor **Akaki Bakuradze** (Akaki Tsereteli State University); Associated Professor **Khatuna Shalamberidze** (Akaki Tsereteli State University); Professor **Lasha Beridze** (St. Tbel Abuserisdze University); Associated Professor **Naira Virsaladze** (Akaki Tsereteli State University); Associated Professor **Goderdzi Shanidze** (Akaki Tsereteli State University); Professor **Iury Papasqua** (Sokhumi State University); Associated Professor **Murman Tsetskhladze** (Batumi Shota Rustaveli State University); Professor **Revaz Shengelia** (Georgian Technical University); Professor **Paata Koguashvili** (Georgian Technical University); Professor **Nana Shonia** (Akaki Tsereteli State University); Professor **Evgeniy Baratashvili** (Georgian Technical University); Professor, Academician of the National Academy of Science of Georgia **Avtandil Silagadze** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University); Professor **George Ghavtadze** (Georgian National University); Associated Professor **Loyd Karchava** (Caucasus International University); Associated Professor **Ineza Gagnidze** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University); Associated Professor **Nino Paresashvili** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University); Professor **Mikheil Tokmazishvili** (St. Andrew the First Called Georgian University of Patriarchate of Georgia); Professor **Nana Rinkiashvili** (Iakob Gogebashvili Telavi State University); Professor, Academician of the National Academy of Science of Georgia **Mikheil Jibuti** (St. Andrew the First Called Georgian University of Patriarchate of Georgia);

FOREIGN PART OF EDITORIAL BOARD MEMBERS:

Professor **Gindrute Kasnauskiene** (Vilnius University, Lithuania); Professor **Levan Chikhladze** (Peoples' Friendship University of Russia, Russia); Associate Professor **Iulian Ichnatov** (Alexandru Ioan Cuza University, Romania); Professor **Siarhei Lukin** (Belarus State University, Belarus); Lead Researcher, Ph.D., **Vera Komarova** (Daugavpils University, Latvia); Professor **Sergii Zakharin** (Research Institute for Economic Development, Ukraine); Associated Professor **Teimuraz Abesadze** (University of Southeast Norway, Norway); Professor **Olena Bakulich** (National Transport University, Ukraine); Associate Professor **Yevheniy Haydanka** (Trnava university, Slovakia);

სარჩევი – CONTENT

ეკონომიკური პოლიტიკა და რეფორმები ECONOMIC POLICY & REFORMS

პაატა კოლუაშვილი, ნიკო ჩიხლაძე აგრარული პოლიტიკის ფორმირების რეგიონული გამოწვევები საქართველოში _____	7
Paata Koghuashvili, Niko Chikhladze REGIONAL CHALLENGES IN THE DEVELOPMENT OF AGRICULTURAL POLICY IN GEORGIA _____	13
გურამ უფლისაშვილი საქართველოს საგადასახადო სისტემის რეფორმირება: პრობლემური საკითხები _____	15
Guram Uphlisashvili REFORMING THE TAX SYSTEM OF GEORGIA: PROBLEMATIC ISSUES _____	23
ალექსანდრე ვაჭარაძე ეკონომიკური პოლიტიკის როლი „მწვანე ენერჯეტიკაზე“ გადასვლის პროცესში _____	24
Aleksandre Vatcharadze THE ROLE OF ECONOMIC POLICY IN THE PROCESS OF TRANSITION TOWARD “GREEN ENERGY” _____	30
თენგიზ ვერულავა რეცეპტის ინსტიტუტის დანერგვის გამოწვევები საქართველოს ჯანდაცვის ინსტიტუციურ განვითარებაში _____	32
Tengiz Verulava THE PROBLEMS OF THE IMPLEMENTATION OF PRESCRIPTION INSTITUTION IN THE INSTITUTIONAL DEVELOPMENT OF HEALTH CARE IN GEORGIA _____	41
ნანა ლუხუტაშვილი ინოვაციები განათლების სისტემაში და მასთან დაკავშირებული გამოწვევები Nana Lukhutashvili INNOVATIONS IN THE EDUCATION SYSTEM AND RELATED TO IT PROBLEMS _____	43 48
რამინ ცინარიძე, გიორგი აბუსელიძე, ლაშა ბერიძე საინვესტიციო გარემოს შეფასების აქტუალური საკითხები _____	50
Ramin Tsinaridze, George Abuselidze, Lasha Beridze ACTUAL ISSUES OF ASSESSMENT OF THE INVESTMENT ENVIRONMENT _____	60

მარკეტინგი, მენეჯმენტი
MARKETING, MANAGEMENT

Jemal Mamaiashvili	
OUTSOURCING AS AN ACTOR IN HUMAN RESOURCES MANAGEMENT ____	63
ჯემალ მამაიაშვილი	
აუტსორსინგი, როგორც ადამიანური რესურსების მენეჯმენტის აქტორი ____	68
თეა ვალიშვილი, ლია გენელიძე	
დასაქმებულთა კმაყოფილება და შიდა მარკეტინგის პრობლემები საქართველოში ____	69
Tea Valishvili, Lia Genelidze	
EMPLOYEE SATISFACTION AND INTERNAL MARKETING PROBLEMS IN GEORGIA__	75

ტურიზმი, ეთნოეკონომიკა
TURISM, ETHNO-ECONOMICS

გოდერძი შანიძე	
სახელმწიფოს როლი ტურისტული ბიზნესის განვითარებაში _____	77
Goderdzi Shanidze	
The role of the state in the development of tourism business _____	83
დავით შავიანიძე, გიორგი ღავთაძე	
ეთნოეკონომიკის ზოგიერთი საკითხი _____	85
David Shavianidze, George Gvartadze	
SOME ISSUES OF ETHNO-ECONOMICS _____	93

გამოხმაურება ახალ წიგნებზე
RESPONSE TO NEW BOOKS

იოსებ არჩვაძე, ნიკოლოზ ჩიხლაძე	
წლის საუკეთესო ნაშრომი აგრარულ სფეროში _____	95
Joseph Archvadze, Nikoloz Chikhladze	
THE BEST PAPER OF THE YEAR IN THE AGRICULTURAL FIELD _____	98

აგრარული პოლიტიკის ფორმირების რეგიონული გამოწვევები საქართველოში

პაატა კოლუაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
paata_koguashvili@hotmail.com

ნიკო ჩიხლაძე

ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
nikoloz.chikladze@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: რეგიონული ეკონომიკა; სოფლის მეურნეობა; ინსტიტუციური ეკონომიკა; საწარმოო ოპტიმიზაცია.

J.E.L. classification: Q18, R0

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.01>

ციტირებისთვის: კოლუაშვილი პ., ჩიხლაძე ნ., (2023) აგრარული პოლიტიკის ფორმირების რეგიონული გამოწვევები საქართველოში. ეკონომიკური პროფილი. ტ. 18, 2(26), გვ. 7-14 DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.01>

ანოტაცია. თანამედროვე მსოფლიო შევიდა მუქეცევადი ცვლილებების და გლობალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის განხორციელების გადაუდებელ ფაზაში. დღევანდელ ვითარებაში აქტუალური ხდება სახელმწიფოს მიერ შექმნილი გონივრული, თანმიმდევრული, მოქნილი და კრიზისულ ვითარებებში ადაპტირებადი ეროვნული ეკონომიკური სტრატეგიული დოქტრინა, რომელშიც სათანადო როლი და ფუნქცია განისაზღვრება ქვეყნის რეგიონული და აგრარული პოლიტიკისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია მის მთავარ მიზნად კონკურენტული პროდუქციის შექმნას განიხილავს, თუმცა ერთიანი სამოქმედო გეგმა და დღეს სამინისტროს ხელთ არსებული სერვის-პროგრამები არ ტოვებს განცდას, რომ ჩვენ გააზრებული გვაქვს ყველა პრობლემა-გამოწვევა, რაც სხვა და სხვა ეტაპზე, საფეხურზე თუ ფაზაში ბუნებრივად იქმნება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია რეგიონებში განსაკუთრებულ სიმალლეზე ავიყვანოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ხელშეწყობის მასტიმულირებელი პოლიტიკა

შესავალი

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში სულ უფრო ხშირად ვხვდებით მცდელობებს მოხდეს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა-გამოწვევების რეგიონალიზაცია. ეს ტენდენცია მოსალოდნელი დიდი გლობალური ცვლილებების და გავლენათა გადანაწილების მხოლოდ ნაწილია. პრობლემების კომპლექსურად მაკრო დონეზე მართვის და მიზნობრივი მიკრო პროექტების განხორციელების ეფექტიანად უზრუნვეყოფის საქმეში აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ინსტიტუციური და რეგიონული ეკონომიკის პრინციპების კომპლექსურ-სინერგიული მოქმედების მოდელირება. ღრმა სტატისტიკური ანალიზი არატრადიციული ინდიკატორებით, სიტუაციურ-კონტექსტუალური კვლევა და ინსტიტუციური „თამაშის წესების“ განსაზღვრა მოგვცემს საფუძველს შევქმნათ რეგიონების სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების მიზანზე და შედეგზე ორიენტირე-

ბული სტრატეგია, პროგრამა მოდელი, რომელიც სრულად გაიაზრებს არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს და ამავდროულად შექმნის ადგილზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების პირველადი წარმოების ინოვაციურ, მაღალტექნოლოგიურ და რენტაბელურ პროდუქტს, სადაც დაინერგება შედარებითი (კონკურენტული) უპირატესობის განმსაზღვრელი მეთოდოლოგია, რაც დღეს უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. რეგიონული ეკონომიკის პრინციპების და შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენება საშუალებას მოგვცემს რეგიონულ და მიკროზონულ დონეზე ჩავწვდეთ ყველა მნიშვნელოვან ფაქტორს.

ძირითადი ნაწილი

უკვე საქვეყნოდ აღიარებული თემაა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკის რეფორმირება საკმაოდ წარუმატებელი და ქაოტური პროცესი იყო. საქართველომ ეს ყველაზე მტკივნეულად გაიარა და ჯერაც არ მომხდარა განვითარების ისეთი მოდელის ფორმირება, სადაც გამოკვეთილი იქნება ზრდა-განვითარების შეუქცევადი ტენდენციები. განსაკუთრებული სიმძაფრით ეს იგრძნობა სოფლის მეურნეობის, რეგიონული მმართველობის და თვითმმართველობის საკითხებში (ჭითანავა, 2021). დღეს ჩვენ ვიმყოფებით ლიბერალური მიდგომების პრიორიტეტულობის და პროგრამულ-პროექტული არამიზნობრივი პროტექციონიზმის ტყვეობის ქვეშ, სადაც არსებითად

ვერ გავგირჩევია რა ეკონომიკური დოქტრინის მიმდევარია ქვეყანა, რომლის მოსახლეობის სოლიდური ნაწილი გარბის ქვეყნიდან და ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი სიღარიბის ზღვარზეა. ამ მოცემულობაში განსაკუთრებული როლით იკვეთება ინსტიტუციური ეკონომიკის პრინციპების ამოქმედების შესაძლებლობები, სადაც სა-

ხელმწიფო მის მიერ წარმართული გონივრული პოლიტიკით ადგენს კონკრეტულ სფეროში, ეკონომიკის სექტორში თუ რეგიონში სამოქმედო ე.წ. „თამაშის წესებს“, რომელიც განსაზღვრავს მასტიმულირებელ-მარეგულირებელი პოლიტიკის პროგრამულ მოდელს, რომელიც როგორც წესი გამოირჩევა შედეგზე ორიენტირებულობით და მოქმედების დინამიურობა-თანმიმდევრულობით. სწორედ ინსტიტუტები აყალიბებენ საზოგადოებაში თამაშის წესების შემზღვევად ჩარჩოებს, მასტიმულირებელ ან მაპროვოცირებელ მოქმედებებს (North, 2006).

გასათვალისწინებელია უდავო ფაქტი, რომ დღევანდელ მოცემულობაში ჩვენი საზოგადოებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია საკუთრების და საკუთრების და ადამიანის თავისუფლების თემა, დემოგრაფიული სურათი და რეგიონებში მოსახლეობის ღირსეულად დამაგრება-დამკვიდრების საკითხები, კოოპერაციის განვითარება და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა. ჩვენი სპეციფიკის და მდგომარეობის ქვეყნებისთვის ინსტიტუციონალიზმი აჩენს მრავალმხრივ შესაძლებლობას მდგრადი ეკონომიკური განვითარების და სოციალური დაცულობის თვალსაზრისით, რადგან მას აქვს უნარი ჩამოაყალიბოს ქვეყნის წესების ისეთი მოდელი, რომელიც მიზანმიმართულად შეცვლის არსებულ რეალობას. მისი მოქმედების არეალია, როგორც საკანონმდებლო-ადმინისტრაციული ხელისუფლების თვალთახედვა, ასევე სამეურნეო და ბიზნესის განვითარების სფერო (კოლუაშვილი, 2015).

ჩვენს მოცემულობაში ინსტიტუციური „თამაშის წესების“ განმსაზღვრელი ცენტრალური ხელისუფლებას, თუმცა მან უნდა გააცნობიეროს, რომ თუ სათანადო

კვლევები არ არსებობს რეგიონულ, მუნიციპალურ და სოფელ-თემის დონეზე და ამავდროულად პროექტ-პროგრამის სამოქმედო არეალი არ ითვალისწინებს რეგიონული ეკონომიკის კონცეპტუალურ პრინციპებს, არ მოიაზრებს მას როგორც პროექტის გაგრძელება-დასრულების ფაზას. ამიტომ, უნდა ველოდოთ პროგრამის ფრამენტულობას, არათანმიმდევრულობას და შედეგზე ორიენტირებულობის დაბალ ალბათობას. ასევე უმნიშვნელოვანესი სამოქმედო პრინციპი „ინიციატივა - ქვემოდან ზემოთ“ საერთოდ არ იმუშავებს თუ ადგილობრივი დონე არ გახდა ე.წ. „თამაშის წესების მონაწილე და შესაბამისად არ შეიძინა ეკონომიკური აქტორის როლი, რაც კიდევ უფრო საქმიანს და პასუხისმგებლიანს გახდის ნებისმიერ პროექტ-პროგრამას.

სექტორული და რეგიონული განვითარების სტრატეგიებს სჭირდება არა მხოლოდ დეკლარირებული ამოცანების წარმოდგენა, არამედ უმნიშვნელოვანესია მათი შესრულების უზრუნველმყოფელი სამოქმედო გეგმების ისე ჩამოყალიბება, სადაც დაყვანილი იქნება არა მიმდინარე ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის თანხები, არამედ აწყობილი იქნება მიზანზე ორიენტირებული მოქმედებების უზრუნველმყოფელი რეფორმირებით, განსაზღვრული არეალით, პროცესუალური ეტაპებით და ფაზებით (Hypreev, 2019).

კლასიკური ეკონომიკის სწავლობს ჩამოყალიბებულ, განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის მდგომარეობას. იგი არ იცნობს გარდამავალ მდგომარეობას და ამ საკითხში მსოფლიო ეკონომიკური აზრი არ აღმოჩნდა მოწოდების სიმალეზე, რასაც პროფესორი ვ. პაპავა თავის ნაშრომებში ზუსტად აღწერს (პაპავა, 2005)

მიგვაჩნია, რომ სწორედ ჩვენს მდგო-

მარეობაში მყოფი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების და სამოქმედო მოდელების განსაზღვრაში ფასდაუდებელია ინსტიტუციონალიზმის შესაძლებლობების სრულფასოვნად ათვისება. აგრარულ-რეგიონულ პოლიტიკაში სამთავრობო სტრატეგიას და ცენტრიდა-ნული პოლიტიკის განსაზღვრას თან უნდა ერთვოდეს ცენტრისკენული ხედვები, რომლის გააზრებისას აუცილებელია მოხდეს სინერგიულ-პარტნიორული თანხვედრა ფორმირებულ ინსტიტუციურ წესებს და რეგიონული ეკონომიკის პრინციპებს შორის (Алиев, 2002). დღის წესრიგში დგება საკითხი შეიქმნას აგრარული განვითარების სტრატეგია, რომლის მთავარი ამოცანა იქნება სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევა-იდენტიფიცირება და მართვა, აგრო კულტურების მართებული განსაზღვრა-დარაიონება, დასაქმების და საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფა, სისტემურ-სტრუქტურული რეფორმირება, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, ლოჯისტიკა-მარკეტინგი, ინკლუზიური ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობა და მრავალი სხვა მიმართულება.

ოპტიმიზაციის ნაწილში მეთოდოლოგიურად განვიხილოთ აგრარულ სფეროში ჩართული მიწის რესურსები და მართებულად შევაფასოთ გამოყენების საწარმოო-სამეურნეო ფუნქციონალი, სადაც უნდა გამოიკვეთოს მისი ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. საფუძველთა საფუძველი პროცესში არის ნიადაგის და მიკროკლიმატის ოპტიმალური შერჩევა. პროცესის ფორმირებაში გამოყენებულ უნდა იქნას სპეციალური ინდიკატორები. დღევანდელ საქართველოში რთულდება დარგის და ბიზნესის სისტემურ-დინამიური მართვა, რადგან გათითოკაცებული ფერმერული მე-

ურნეობები ვერ ახერხებენ სამეურნეო კოოპერირებას ან კლასტერიზებას, ხოლო სტრუქტურული რეფორმის გარეშე კი წარმოუდგენელია თანამედროვე გამოწვევების დაძლევა.

ჩვენი აზრით, საწარმოო ოპტიმიზაციის ძირითადი ეკონომიკურ-ფუნქციონალური აქტორები სოფლის მეურნეობაში არის შემდეგი:

1. მიწის მდგომარეობის შეფასება (კატეგორია, ხარისხი, ფასი-გადასახადი, ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური მახასიათებლები, მდებარეობის შეფასება);
2. გარემო და მიკროკლიმატი (ბოლო 20-30 წლის კლიმატური რუკებში ასახული ტემპერატურა, წვიმის მოცულობა--პერიოდულობა, ქარის სიჩქარე-მოდრაობა)
3. მელიორაცია (ირიგაცია-დრენაჟი, სისტემის გამართულობის და მოწოდების პერიოდულობის შეფასება, მორწყვის ინოვაციურ-ტექნოლოგიური საშუალებები);
4. სერთიფიცირებული სათესლე და სარგავი მასალა (მაღალი მოსავლიანობა, არსებულ პირობებში ჯიშურად ადაპტირებული, ბაზარზე მოთხოვნადი)
5. საწარმოო პროცესის ოპტიმიზაცია (მიწის ოპტიმალური ფართობი, მანქანა-იარაღები, კვალიფიციური მუშა-მოსამსახურეები, სასაწყობე-სამაცივრე ფართი);
6. წარმოების ინოვაციური ტექნოლოგია; (შხამ-ქიმიკატები, ორგანული სასუქები, მცენარეთა კვების თანამედროვე ტექნოლოგიური რუკა, მიკვლევადობა-ხარისხი).

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო რთულდება უცხო ქვეყნის ბაზრებზე შეღ-

წევა, რაც უპირობოდ გვიბიძგებს სიღრმისეულად ჩავწვდეთ მოცემულ თემატიკას და ჩავრთოთ ყველა ეკონომიკური სისტემა და მექანიზმი. არსებულ მოცემულობაში კონკურენტული უპირატესობის დადგენა--განვითარების რეჟიმში მნიშვნელოვანია განვაზოგადოთ და ჩავშალოთ თეორიაში დამკვიდრებული ხუთი მიმართულება:

1. სახელმწიფოს კონკურენტული შესაძლებლობები:
 - ა) სავაჭრო ხელშეკრულებები და საერთაშორისო ვალდებულებები;
 - ბ) ბიზნესის თავისუფლება და რეალური კონკურენტული გარემო;
 - გ) სტრატეგიული პოლიტიკის თანმიმდევრულობა და ტერიტორიული არეალი;
2. ეკონომიკის შეფასება და ეფექტიანობა:
 - ა) მაკროეკონომიკური გარემო და გაცხადებული პრიორიტეტები;
 - ბ) მასტიმულირებელი პროტექციონიზმი და რეგულაცია-დერეგულაციის დონე;
3. დარგის მდგომარეობის შეფასება-ანალიზი:
 - ა) სისტემურ-ორგანიზაციული და სტრუქტურულ ლოჯისტიკური მდგომარეობა;
 - ბ) ცოდნა-ექსტენციის დონე და ტრადიცია-მენტალიტეტის შეფასება;
 - გ) კლიმატურ-ნიადაგობრივი შესაძლებლობების შეფასება-ანალიზი;
4. ფირმის კონკურენტული შესაძლებლობები:
 - ა) ინოვაციურ-ინტეგრირებული ტექნოლოგია და მისი დანერგვა-გავრცელება;
 - ბ) რენტაბელობის დონე, ხარჯების ოპტიმიზაცია და საფასო პოლიტიკა;
 - გ) საწარმოო ჯაჭვი, მარკეტინგულ-ლოჯისტიკური უპირატესობა;
5. პროდუქტის კონკურენტუნარიანობა:

- ა) მიკროზონული უპირატესობა და პროდუქტის დარაიონების მოდელირება;
- ბ) ორგანოლექტიკა და ინოვაციურ-ინტეგრირებული ტექნოლოგიები;
- გ) მიკვლევადობა-სერთიფიცირების სისტემა და ხარისხის კონტროლი.

აღნიშნული თითოეული პუნქტი და ქვეპუნქტი მოიცავს ტევად ინფორმაციას, რომელიც რომელიც მოითხოვს სტრუქტურულიზაციას „კოგნიტური რუკების” მეშვეობით. სოფლის მეურნეობის რეგიონული სტრატეგიების მთავარ ღირსებებად რჩება ინსტიტუციური მოქნილობა, ლოკალურ ტერიტორიაზე პროდუქტის წარმოების სრულფასოვანი ინფორმაციული ანალიტიკა და მართვაში მოდელირების საუკეთესო საშუალება.

დასკვნა

საქართველოს სოფლის მეურნეობა და რეგიონული განვითარება აბსოლუტურად უსისტემოდ მოძრაობს. სწორედ ასეთ ინერციას სჭირდება შეჩერება და სასწრაფო წესით რეფორმირება-ტრანსფორმაცია, სადაც ინსტიტუციური ეკონომიკის „თამაშის წესების” განსაზღვრა და რეგიონული სტრუქტურების აქტიურობა სტატისტიკურ-ანალიტიკური და სიტუაციურ-კონტექსტუალური კვლევების თვალსაზრისით, მიზნობრივ-პროგრამული მოქმედებებისთვის და დარგის განვითარების წინაპირობად იქცევა.

რეგიონის სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგიის შექმნა თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ მოცემულობაში აქტუალური და ამავდროულად რთული საქმეა. პირველ რიგში პრობლემა იკვეთება ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის და საკანონმდებლო არასრულფასოვნების ნაწილში. რაც

შეეხება სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს აქ მოქმედების დიაპაზონი და თემატური მრავალფეროვნება გვიბიძგებს აზრობრივი კრეატიულობისკენ და სამოქმედო მიზანშედეგობრივი პროგრამების უპირატესობის განსაზღვრისკენ.

თანამედროვე მსოფლიო გამოწვევები ბოლო წლებში კიდევ უფრო მეტ ყურადღებას იჩენს რეგიონალიზაციის საკითხებზე და ზოგადად პროცესებში დეცენტრალიზაცია-დეკონცენტრაციის პრინციპების დანერგვაზე. რეგიონებში დამუშავებული პროგრამები, რომლებიც თავისი შინაარსით „ქვემოდან ზემოთ” პრინციპით უნდა ჩამოყალიბდეს, ექცევა ინსტიტუციური წესრიგის ბადეში, რადგან ის მთავრობის ცენტრიდანული მაკროეკონომიკური სტრატეგიის გაგრძელება იქნება და რეგიონული ეკონომიკის პრინციპების დახმარებით შექმნის ცენტრისკენული პოლიტიკის მოთხოვნილებებს.

უმნიშვნელოვანესია გაჩნდეს მოქნილი და ეფექტიანი ინსტიტუციური ცვლილებები რეგიონებში, რითაც შევძლებთ ეკონომიკის რესურსული პოტენციალის და შესაძლებლობების ანალიზს, აქტიური ქცევის მოტივირებას, რაც ევოლუციურ ინერციას და ფრაგმენტულობას შეცვლის კომპლექსური, სტრუქტურულ-ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული, ტექნიკურ-ეკონომიკურად გამართული პოლიტიკით.

ნაშრომში წარმოდგენილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმიზაციის ხუთი მიმართულება მიწის ოპტიმიზაციის ფორმულიდან დაწყებული და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მნიშვნელობით დამთავრებული, ერთიანი კომპლექსური მოქმედების მოდულია, სადაც თითოეულს თავისი განუმეორებელი ფუნქცია-მოვალეობა აქვს და მათი გათიშვა ან რომელიმეს გაუთვალისწინებლობა დაუშ-

ვებელია ბიზნეს-სამეურნეო თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

1. კოლუაშვილი პ., (2015) რომელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკა. ახალი აგრარული საქართველო N-8;
2. ჭითანავა ნ., (2021) გლობალური პროცესები ერთ პოლუსიან მსოფლიოში - საქართველოს ეკონომიკის როლი და უხილავი პრობლემები. მონოგრაფია. თბილისი.
3. Алиев В., (2002) Региональные проблемы переходной экономики: Вопросы теорий и практики. М., Изд-во „Экономика“.
4. ხარაიშვილი ე., (2011) კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. მონოგრაფია. თბილისი;
5. North, D. C. (2006) Institutions, Institutional Change and Economic Performance;
6. შაპავა პ., (2005) პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი;
7. Нуреев Р., (2019) Институциональная экономика. М., Изд-во „НОРМА“.

REGIONAL CHALLENGES IN THE DEVELOPMENT OF AGRICULTURAL POLICY IN GEORGIA

Paata Koghuashvili

Professor of Technical University of Georgia

paata_koguashvili@hotmail.com

Niko Chikhladze

Professor of Kutaisi University

nikoloz.chikhladze@unik.edu.ge

KEY WORDS: *regional economy; Agriculture; institutional economics; production optimization.*

J.E.L. classification: Q18, R0

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.01>

For citation: Koguashvili P., Chikhladze N., (2023) Regional challenges in the development of agricultural policy in Georgia (in Georgian). Economic Profile, Vol. 18, 2(26), p. 7-14. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.01>

Summary

The modern world has entered an acute phase of irreversible changes and implementation of global economic transformation. In today's situation, a sensible, coherent, flexible and adaptable national economic strategic doctrine created by the state, delineating the proper role and function of the country's regional and agrarian policy, is becoming urgent.

The Strategy of Agriculture and Rural Development of Georgia for 2021-2027 considers the creation of competitive products the main objective, however, the single action plan and the service programs available to the Ministry today do not leave the feeling that we have understood all the problems and challenges that arise at different stages, step or phase. Based on the foregoing, it is appropriate to raise the issue of policy options to promote production of agricultural products in the regions.

Georgia's agriculture and regional development are moving absolutely haphazardly. It is this kind of inertia that needs to be stopped and urgently reformed and transformed, where the determination of the "rules of the game" of the institutional economy and the activity of regional structures in terms of statistical-analytical and situational-contextual studies become a prerequisite for targeted-program actions and the development of the field.

It is safe to say that creating a regional agriculture and rural development strategy is an urgent and at the same time difficult task in today's situation. First of all, the problem is specified in the area of – administrative-territorial system and imperfections of legislation. As for the socio-economic aspects and the range of actions and thematic diversity here encourage us to think creatively and determine the advantages of causal programs.

Contemporary world challenges in recent years show even more attention to issues of regionalization and the introduction of decentralization-deconcentration principles in the processes generally. The programs developed in the regions, which should be formed according to the "bottom-up" principle, fall under the institutional order network, because they become a continuation of the centripetal macroeconomic strategy of the government and create the needs of the centrist policy with the help of the principles of the regional economy.

It is of the utmost importance that flexible and effective institutional changes appear in the regions, thus we will be able to analyze the resource potential and prospects of the economy, motivate active behavior, which will replace evolutionary inertia and fragmentation with a complex, structurally-organizationally formed, technical-economically sound policy.

The five directions of agricultural production optimization presented in the paper, starting from the land optimization formula and ending with the importance of introducing innovative technologies, are a single complex action module, where each has its own unique function-duty, and it is not unacceptable to disable or ignore them from a business and economical point of view.

References:

1. Koghuashvili P., (2015) What is the specificity of agricultural production. New Agrarian Georgia N-8;
2. Chitanava N., (2021) Global processes in a unipolar world - the role of Georgian economy and invisible problems. Monograph. Tbilisi.
3. Алиев В., (2002) Региональные проблемы переходной экономики: Вопросы теории и

- практики. М., Изд-во „Экономика“.
4. Kharaishvili E., (2011) Problems of competition and competitiveness in the agro-food sector of Georgia. Monograph. Tbilisi;
 5. North, D. C. (2006) Institutions, Institutional Change and Economic Performance;
 6. Papava P., (2005) Macroeconomics of the Post-Communist Transition Period, TSU Publishing House, Tbilisi;
 7. Нуреев Р., (2019) Институциональная экономика. М., Изд-во „НОРМА“.

საქართველოს საგადასახადო სისტემის რეფორმირება: პრობლემური საკითხები

გურამ უფლისაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი guram.uphlishashvili@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: გადასახადები; საგადასახადო სისტემა; გადასახადების ადმინისტრირება.

J.E.L. classification: K2, H2

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.08>

ციტირებისთვის: უფლისაშვილი გ., (2023). საქართველოს საგადასახადო სისტემის რეფორმირება: პრობლემური საკითხები. ეკონომიკური პროფილი. ტ. 18, 2(26), გვ. 15-23. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.08>

***ანოტაცია.** სტატიაში განხილულია საქართველოს საგადასახადო სისტემის რეფორმირების პროცესში გამოვლენილი ზოგიერთი პრობლემური საკითხი, რაც უკავშირდება საგადასახადო კულტურის განვითარების ამჟამინდელ ეტაპს. ყურადღება გავამახვილეთ რისკებზე, რომელიც გამოვლინდა საგადასახადო დაფალიანებების ჩამოწერის, ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების პროცედურების გამარტივების, სააქციზო პოლიტიკის ღონისძიებების მიმართულებით.*

მიგვაჩნია, რომ საგადასახადო სისტემის რეფორმირების დაგეგმვისას უნდა იქნას გათვალისწინებული დაბეგვრის ტვირთის მიმართ გადასახადის გადამხდელთა მზობის ხარისხი. ამასთან, ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს ისე, რომ სწორი პოზიტიური თუ ნეგატიური სტიმულების მიცემის გზით გადასახადის გადამხდელთა მოტივაცია და მთლიანად საზოგადოების განწყობები გრძელვადიან პერსპექტივაში განვითარდეს სასურველი მიმართულებით.

შესავალი

საგადასახადო სისტემა მოიცავს საგადასახადო ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტებს, როგორცაა გადასახადების დაწესების, შეცვლის და გაუქმების საკანონმდებლო პრინციპები, გადასახადების სახეების, საგადასახადო განაკვეთების და საგადასახადო შეღავათების ერთობლიობა, საგადასახადო ადმინისტრირების და კონ-

ტროლის მეთოდები, ასევე ურთიერთობების ფორმები საგადასახადო ადმინისტრირების ორგანოებსა და გადასახადის გადამხდელებს შორის.

ნებისმიერი ქვეყნის საგადასახადო სისტემის აგების აუცილებელი პირობა არის მის გარკვეულ პრინციპებზე დაფუძნება. ამ პრინციპებს შორისაა კანონით რეგლამენტირებულობის, სავალდებულობის, უნიფიცირებულობის, სამართლიანობის, სტაბილურობის, ეკონომიურობის და სხვა პრინციპები. ცხადია, რომ ქვეყნის საგადასახადო სისტემა დროთა განმავლობაში უცვლელი ვერ იქმნება, მაგრამ ამ ძირითადი პრინციპების დაცვა აუცილებელია. ამასთან, საგადასახადო სისტემის მშენებლობისას ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი საგადასახადო კულტურის თავისებურებებს.

ძირითადი ტექსტი

გადასახადები სახელმწიფო შემოსავლების ფორმირების ძირითადი წყარო და სახელმწიფოს ფუნქციონირების ფინანსური საფუძველია. საქართველოს საგადასახადო სისტემას დიდი ხნის ისტორია არ გააჩნია.

გადასახადები რა თქმა უნდა მანამდეც არსებობდა, მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს საგადასახადო სისტემის ინსტიტუციონალური ჩამოყალიბება მხოლოდ 1990-იანი წლების შუახანებიდან იწყება. 1997 წელს ძალაში შევიდა პირველი ერთიანი საგადასახადო კოდექსი. მართალია საგადასახადო კანონმდებლობა ეფუძნებოდა დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებას, მაგრამ ის ვერ ითვალისწინებდა ჩვენს ეროვნულ სპეციფიკას. რეალობაში სახეზე იყო უამრავი პრობლემა: ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი დონე, კორუფციის და ნეპოტიზმის მაღალი ხარისხი და მოსახლეობის უკიდურესად არალოიალური დამოკიდებულება გადასახადების მიმართ. ამ პრობლემებს გარკვეულად აღვივებდა საკმაოდ რთული და ბუნდოვანი საგადასახადო კანონმდებლობა, მრავალი მ.შ. არაეფექტური (არაადმინისტრირებადი) გადასახადების, საკმაოდ მაღალი საგადასახადო განაკვეთების და დაუსაბუთებელი შეღავათების არსებობა, ასევე არაეფექტიანი საგადასახადო ადმინისტრირება.

2000-იანი წლების შუახანებიდან დაიწყო რადიკალური ცვლილებების განხორციელება საგადასახადო სისტემაში. ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლითაც გადასახადების რაოდენობა 22-დან ჯერ 6-მდე შემცირდა, შემცირდა საგადასახადო განაკვეთებიც, დაიწყო საგადასახადო სერვისების გამარტივება და გადაყვანა ელექტრონულ მომსახურებაზე. გამარტივდა, თუმცა ამავე დროს განმტკიცდა საგადასახადო ადმინისტრირება. ამასთან, საგადასახადო წნეხის თითქოსდა შემცირების მიუხედავად, მრავალჯერ გაიზარდა ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები.

საგადასახადო შემოსავლების მკვეთრი ზრდა მნიშვნელოვანწილად განაპირობა

ჩრდილოვანი ეკონომიკის დღის სინათლეზე გადმონაცვლებამ, ანტიკორუფციულმა ღონისძიებებმა, სახელმწიფო აპარატის და ფისკალური დისციპლინის დონის ამაღლებამ. შედეგად, მიუხედავად გადასახადების რაოდენობის და საგადასახადო განაკვეთების შემცირებისა, დასაბეგრი ბაზის მკვეთრმა გაფართოებამ უზრუნველყო მობილიზებული გადასახადების მრავალჯერადი ზრდა.

2011 წელს ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რაც შეიცავდა მნიშვნელოვან მომენტებს მეწარმეობის სტიმულირებისათვის. კერძოდ, შემოღებულ იქნა სპეციალური დაბეგვრის სტატუსები მცირე და მიკრო მეწარმეებისათვის. დაინერგა მთელი რიგი სიახლეები, მ.შ. საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტი, პირადი საგადასახადო აგენტის ინსტიტუტი, წინასწარი გადაწყვეტილების მექანიზმი, საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობა, გაფრთხილების მექანიზმი ფულადი სანქციების ალტერნატივად და ა.შ. გადამხდელები მომსახურებების უმეტესობას უკვე იღებდნენ საკუთარი RS ელექტრონული გვერდების მეშვეობით, ელექტრონულად დაიწყო გადასახადების დეკლარირება, საგადასახადო დოკუმენტების (ზედნადებების და ანგარიშ-ფაქტურების) გამოწერა და მიღება, ინფორმაციის და დოკუმენტაციის გაცვლა საგადასახადო ორგანოებთან და ა.შ.

საგადასახადო სისტემის რეფორმირება მომდევნო პერიოდებშიც გაგრძელდა. კერძოდ, შემცირდა საგადასახადო ხანდაზმულობის ვადები, საწარმოები გადავიდნენ მოგების გადასახადის ახალ ე.წ. ესტონური მოდელზე, ძირეულად შეიცვალა დამატებული გადასახადით დაბეგვრის წესები. ასევე გაგრძელდა სერვისების მასშტაბური გადაყვანა ელექტრონულ მომსახურებაზე,

რითაც საგადასახადო ადმინისტრირება, როგორც გადასახადის გადამხდელებისთვის, ისე საგადასახადო ორგანოებისათვის, გახდა უფრო მარტივი და მოწესრიგებული.

აღსანიშნავია, რომ ორგანული კანონით ეკონომიკური თავისუფლების შესახებ დადგინდა, რომ ახალი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის შემოღება ან უკვე არსებული განაკვეთების ზრდა, გარდა აქციზისა, შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ რეფერენდუმის გზით. ამასთან, დაუშვებლად იქნა მიჩნეული რეფერენდუმის საგნად გადასახადის პროგრესულობის პრინციპის ან რეჟიმის აღება (ორგანული კანონი, 2021).

საგადასახადო სისტემის ძირეული რეფორმირების კვალობაზე იცვლებოდა გადასახადის გადამხდელთა დამოკიდებულება საგადასახადო სისტემის მიმართ. გადასახადების შემცირება, საგადასახადო სერვისების გამარტივება, საგადასახადო ორგანოებში კორუფციის აღმოფხვრა, საგადასახადო ადმინისტრირების მოწესრიგება და ამავე დროს გამკაცრება, სწორი მასტიმულირებელი ფაქტორები აღმოჩნდა საგადასახადო კულტურის ფორმირების კუთხით. გადამხდელთა უმეტესობას ამაჟამად გათავისებული აქვს გადასახადის სავალდებულობის პრინციპი და მათთვის ცნობილია, რომ საგადასახადო დისციპლინის დარღვევა სანქციების მძიმე რისკებს გულისხმობს.

ამასთან, მიუხედავად უდავოდ პოზიტიური ცვლილებებისა საზოგადოების დამოკიდებულებაში გადასახადების მიმართ, სახეზე მაინც რჩება მნიშვნელოვანი მენტალური პრობლემები. საქმე იმაშია, რომ საგადასახადო ადმინისტრირების შედეგები დამოკიდებულია არა მარტო საგადასახადო კანონმდებლობაზე და საგადასახადო

ადმინისტრირების ხარისხზე, ასევე მოქალაქეთა მენტალიტეტზე, კანონმორჩილებაზე და ლოიალურობაზე დაბეგვრის დადგენილი ტვირთის მიმართ.

ჩვენთან კი მიუხედავად გარკვეული პოზიტიური ძვრებისა, გადასახადის გადამხდელთა შინაგანი ლოიალურობა და ბეგვრის მიმართ ჯერ კიდევ მყიფე და სათუთაა. ტრადიციულად ჯერ კიდევ მაღალია მოსახლეობის უნდობლობა ზოგადად სახელმწიფოს მიმართ, რისი დამლევაც მხოლოდ თანდათან გრძელვადიანი ხელსაყრელი ფაქტორების ზემოქმედებით არის შესაძლებელი. გადამხდელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ გრძნობს საკმარის მორალურ პასუხისმგებლობას საგადასახადო დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებით. ცალკეული პირები, რისკების სათანადო შეფასების საფუძველზე, აირჩევენ და გადასახადისაგან თავი არიდებენ, თუ მომეზინდა კანონმდებლობის წინააღმდეგობრივ განმარტებებს და საგადასახადო ადმინისტრირების სუსტ ადგილებს.

ამიტომ, საგადასახადო სისტემის რეფორმირების ღონისძიებები სხვადასხვა, მ.შ. დაბეგვრის ლიბერალიზაციის მიმართულებით, უნდა ითვალისწინებდეს ზემოთაღწერილ რისკებს. საჭიროა საგადასახადო სისტემის რეფორმირების ყოველი დაგეგმილი ღონისძიების ფისკალური და სხვა შედეგების წინასწარ შეფასება გრძელვადიან პერსპექტივაში. აუცილებელია, რომ ღონისძიებები არ იწვევდეს გადასახადის გადამხდელთა მოტივაციის არასწორი მიმართულებით განვითარებას.

ბოლო წლებში რადიკალური ცვლილებები შევიდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში დამატებული ღირებულების გადასახადთან (დღგ) დაკავშირებულ ნაწილში. ეს აუცილებლობა განაპირობა ევროკავშირთან 2014 წელს გაფორმე-

ბულმა ასოცირების შეთანხმებამ, რომლითაც საქართველომ აიღო საგადასახადო კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის სამართლებრივ სტანდარტებთან ეტაპობრივი დაახლოების ვალდებულება. ევროკავშირი წარმოადგენს ერთიან სავაჭრო-ეკონომიკურ სივრცეს, ამიტომ მასში გაერთიანებული ქვეყნების კანონმდებლობები, მ.შ. გადასახადების კუთხით, საჭიროებს ჰარმონიზირებას. აუცილებელია, როგორც ორმაგი დაბეგვრის, ისე გადასახადის თავიდან არიდების შემთხვევების პრევენცია.

საგადასახადო კანონმდებლობაში დღეს კუთხით განხორციელებული მასშტაბური ცვლილებები მეტად საყურადღებოა და მას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი შედეგები ევროინტეგრაციის პროცესების განვითარების კუთხით, ასევე სამეწარმეო გარემოს ცვლილების და საგადასახადო ურთიერთობების ლიბერალიზაციის მიმართულებით. ამავე დროს არ უნდა დავავიწყდეს ისიც, რომ სახელმწიფოს შემოსავლების მეტი წილი სწორედ ამ გადასახადებზე მოდის, ხოლო ზემოთაღნიშნული ცვლილებები, ისევე როგორც საგადასახადო კანონმდებლობაში ჯერ კიდევ დარჩენილი ხარვეზები, გარკვეული ფისკალური რისკების მატარებელია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რისკების შემცველი აღმოჩნდა საგადასახადო ზედმეტობების დაბრუნების წესების გამარტივება. ეს ღონისძიებები ძირითადად სწორედ დამატებული გადასახადის რეფორმის ფარგლებში განხორციელდა. ავტომატიზირებული გახდა დღეს-ის ზედმეტობის დაბრუნების სისტემა, რამაც მართალია გადამხდელებს გაუმარტივა ზედმეტობის დაბრუნება, მაგრამ ახალი დატვირთვის მომტანი აღმოჩნდა, როგორც საგადასახადო მონიტორინგის, ისე საგადასახადო აუდიტის კუთხით.

ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების პროცედურების გამარტივების შედეგად, გადამხდელებს, რომელთაც დღეს თავისებურებებიდან გამომდინარე ჰქონდათ ზედმეტობები, მნიშვნელოვანი ბარიერისა და დაყოვნების გარეშე მიეცათ ბიუჯეტიდან თანხების უკან დაბრუნების შესაძლებლობა. 2019-2021 წლებში გადამხდელთა მიერ ბიუჯეტიდან დაბრუნებული თანხების ოდენობამ 2,3 მლრდ ლარს გადააჭარბა.

ამან საგადასახადო ადმინისტრირების კუთხით გარკვეული სიძნელეებიც წარმოშვა. ცალკეულმა არაკეთილსინდისიერმა პირებმა ისარგებლეს იმით, რომ საგადასახადო ადმინისტრირების სისტემა ჯერ კიდევ არ იყო სინქრონიზირებული ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების პროცედურების გამარტივების საფრთხეებთან. წარმოიქმნა ფიქტიური პირები, რომლებიც ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოწერის გზით დიდი ოდენობის ჩასათვლელი დღეს-ის თანხას უქმნიდნენ სხვა ე.წ. „შემსყიდველ“ პირებს, რომლებიც ავტომატური დაბრუნების წესით ცდილობდნენ მის დაბრუნებას ან გამოეყენებინათ საკუთარი საგადასახადო ვალდებულებების დასაფარავად.

ასეთმა სიტუაციამ გაზარდა რისკები სახელმწიფო შემოსავლების მობილიზების კუთხით. ამან მოითხოვა დამატებით შრომითი და დროითი რესურსები საგადასახადო კონტროლის ღონისძიებებზე მზარდი ოდენობის ასეთი შემთხვევების სამართავად. საგადასახადო ადმინისტრირების თანამედროვე პირობებში, საგადასახადო ინფორმაციის ელექტრონიზაციის მაღალი ხარისხი გარკვეულად აადვილებს კონტროლს, მაგრამ პრობლემა გააღრმავა მცდელობათა მასშტაბებმა. ამასთან, საგადასახადო ორგანოებს დამდგარი სამარ-

თალდარღვევების შედეგების აღმოფხვრაზე უფრო უწყვედად მუშაობა, ვიდრე მსგავსი პრობლემების წარმოქმნის პრევენზიაზე.

სწორედ ამგვარი გამოწვევების საპასუხოდ, საგადასახადო ადმინისტრირების სისტემაში პრევენციული მექანიზმების შექმნის მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ: გაუმჯობესდა კანონშესაბამისობის რისკების იდენტიფიცირების და მართვის პროცესი; განხორციელდა გადასახადის გადამხდელთა ელექტრონული ბაზის სრულყოფა; მოხდა დღგ-ის არაკვალიფიციური გადამხდელის სტატუსის შემოღება და მათ შეუზღუდათ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოწერის, დადასტურების და ჩათვლის უფლება; გაჩნდა სავარაუდო დარიცხვის მექანიზმი დღგ-ის იმ გადამხდელისათვის, რომელთაც შესაბამის ვადაში დღგ-ის დეკლარაცია არ აქვთ წარმოდგენილი.

ვფიქრობთ, რომ პრევენციული სისტემების შექმნამ და ამოქმედებამ აღნიშნული რისკების შესამცირებლად გარკვეულად დააგვიანა. ასევე აღვნიშნავთ, ამ ნოვაციებთან დაკავშირებით ასევე გასათვალისწინებელია სხვადასხვა კოლიზიური შემთხვევების აღმოცენების შესაძლებლობები და საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის კიდევ უფრო გართულების ნეგატიური შედეგები.

საგადასახადო სისტემის მიმდინარე ცვლილებების ნაწილია აგრეთვე წინა პერიოდებში დაგროვილი საგადასახადო დავალიანებების ჩამოწერის ღონისძიებები. საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად. ჩამოწერა ძირითადად ეხებოდა არაღიარებულ ან ვადაგასულ დავალიანებებს. 2015-2019 წლებში ჩამოწერას დაექვემდებარა 3,5 მლრდ ლარზე მეტი და-

ვალიანება.

საგადასახადო დავალიანებების ჩამოწერა ერთის მხრივ ობიექტური გარემოებით იყო განპირობებული. საგადასახადო ადმინისტრირება გათავისუფლდა ამოღების თვალსაზრისით უპერსპექტივო დავალიანებების ტვირთისაგან. მაგრამ, მეორე მხრივ, საგადასახადო ვალდებულებების ჩამოწერის ღონისძიებებისათვის განმეორებადი და განგრძობადი ხასიათის მიცემა გრძელვადიანი თვალსაზრისით საკმაოდ მძიმე ფისკალური რისკების მატარებელი აღმოჩნდა. მსოფლიო გამოცდილებაც ადასტურებს, რომ მსგავსი მექანიზმების პერმანენტული გამოყენება იწვევს ნეგატიურ ფისკალურ შედეგებს, რადგან შეუძლია საზოგადოების საგადასახადო მორალის სერიოზულად შერყევა. ამიტომაც, ჩვეულებრივ, ასეთი პროგრამები წარმოადგენს ხოლმე დროის ფარგლებით შეზღუდულ ღონისძიებებს, სადაც ხასიათით არის დეკლარირებული ამ ღონისძიების ერთჯერადი ხასიათი.

საგადასახადო ამნისტიები, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ისინი ხშირად მეორდება, ახალისებს არაკონკურენტულ გარემოს და იწვევს უსამართლობის შეგრძნებას კეთილსინდისიერ გადამხდელებში. მათაც უძლიერდებათ მოტივაცია, რომ გადასახადების კანონისმიერად გადახდის ნაცვლად, დაელოდოს საგადასახადო ამნისტიის იოლად პროგნოზირებად მორიგ ეტაპს. იქმნება დესტრუქციული მოლოდინები, რაც იწვევს გადასახადის გადამხდელთა ქცევის მოდელის ტრანსფორმირებას არასწორი მიმართულებით. ამიტომაც, დროთა განმავლობაში, საგადასახადო ამნისტიის ყოველი ახალი ეტაპის შემდეგ, კეთილსინდისიერ გადამხდელთა რაოდენობა სულ უფრო იკლებს, ხოლო საპატიებელ საგადასახადო დარღვევათა მასშტაბე-

ბი სულ უფრო იზრდება. პრობლემა რომ სახეზეა, ამას ისიც ადასტურებს, რომ იმავე 2015-2019 წლების შუალედში (როცა 3,5 მლრდ მეტი ლარის საგადასახადო დავალიანება ჩამოიწერა) მთლიანი საგადასახადო დავალიანებები მხოლოდ 1,8 მლრდ ლარით შემცირდა. ანუ ამავე პერიოდში ამოუღებელი საგადასახადო დავალიანება კიდევ 1,7 მლრდ ლარით გაიზარდა (უფლისაშვილი, 2021).

საყურადღებოა ასევე საექციზო პოლიტიკის პრობლემატური საკითხები, განსაკუთრებით თამბაქოს ნაწარმის დაბეგვრასთან დაკავშირებით. ბოლო წლებში აქციზის განაკვეთები მკვეთრად გაიზარდა. ერთი მხრივ, ამის მიზეზია ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებები თამბაქოს მოხმარების შესამცირებლად, აგრეთვე ტარიფების ეტაპობრივი გაზრდის ვალდებულებები ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში. მეორე მხრივ სახეა ფისკალური მოტივაცია - ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ორგანული კანონის მიხედვით, აქციზი საქართველოში არის ერთადერთი საერთო-სახელმწიფო გადასახადი, რომლის განაკვეთის გაზრდა შესაძლებელია რეფერენდუმის გარეშე.

ასეთი ცვლილებების შედეგად, 2011 წლის შემდეგ მკვეთრად დაბეგვრის ტვირთი თამბაქოს მოხმარებაზე გაიზარდა - ჩვენი შეფასებით ფილტრიან სიგარეტზე - საშუალოდ 5,6-ჯერ, ხოლო უფილტრო სიგარეტზე - 19-ჯერ. აღნიშნულმა კი გამოიწვია მთელი რიგი არასასურველი შედეგები. მართალია ოფიციალური სტატისტიკით შემცირდა თამბაქოს ნაწარმის ადგილობრივი წარმოება და იმპორტი, სინამდვილეში გაიზარდა თამბაქოს ნაწარმის კონტრაბანდის და არალეგალური მიმოქცევის შემთხვევები. ეს ფაქტი დასტურდება არამართო ემპირიული დაკვირვებებით, ასევე

სტატისტიკური მონაცემებითაც - მკვეთრად გაზრდილი აქციზურ მარკებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების და სისხლის სამართლის დანაშაულებების დაფიქსირებული რაოდენობა (უფლისაშვილი, 2022).

ანოტაცია. ყველა სხვა რესურსთან ერთად, ადამიანური რესურსები ყველაზე აქტუალურია კომპანიების ოპერაციების ეფექტურობის გაზრდისთვის. ამჟამად, ადამიანური რესურსების როლისა და მნიშვნელობისადმი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა. გლობალურ კატეგორიებში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და აზროვნების გამოყენების საკითხის გააქტიურებასთან ერთად განსაკუთრებული აქცენტი კეთდება იმ პერსონალთან ურთიერთობაზე, რომელსაც შეუძლია კომპანიის ლიდერებისთვის სიახლეების შეთავაზება. რეალურად, ისინი წარმოადგენენ წარმოების ინტელექტუალური კაპიტალის მთავარ ბირთვს.

სტატიის მიზანია გაანალიზოს საინ-

ფორმაციო ტექნოლოგიების როლი და ადგილი ადამიანური რესურსების მართვაში (მათ შორის სტრატეგიაში). კვლევის საგანია აუთოსორსინგი პერსონალის მართვაში. როდის მიმართავს კომპანია აუთოსორსინგს - ეს არის ის მთავარი საკითხი, რომლის გარშემოც მრავალი დისკუსია და სამეცნიერო დავა იმართებოდა და მიმდინარეობს დღეს სამეცნიერო სივრცეში. საქართველოში ადამიანური რესურსების აუთოსორსინგის კვლევა ჯერ კიდევ მწირია. ეს სტატია არის ამ ხარვეზის შევსების მოკრძალებული მცდელობა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ადამიანური რესურსების მართვის როგორც ზოგადი, ასევე შემთხვევის სპეციფიკური ფაქტორები, რომლებიც ამჟამად აქტუალურია საქართველოსთვის.

დასაქმებულთა კმაყოფილება და შიდა მარკეტინგის პრობლემები საქართველოში

თეა ვალიშვილი

ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, tea.valishvili@atsu.edu.ge

ლია გენელიძე

მოწვეული მასწავლებელი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, lia.genelidze@atsu.edu.ge

საკვანძო სიტყვები: მარკეტინგი; შიდა მარკეტინგი; თანამშრომელთა წახალისება; ქართული კომპანიები

J.E.L. classification: M3, M31

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.10>

ციტირებისათვის: ვალიშვილი თ., გენელიძე ლ., (2023) დასაქმებულთა კმაყოფილება და შიდა მარკეტინგის პრობლემები საქართველოში. ეკონომიკური პროფილი, ტ.18, 2(26). გვ.69-76. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.10>

ანოტაცია. ახალ რეალობაში ბიზნესის წარმატების საზომი არამხოლოდ ფინანსური მოგება, არამედ მისი პოზიტიური იმიჯიცაა, რაც ეფექტური შიდა მარკეტინგის გარეშე წარმოუდგენელია. აღნიშნული გულისხმობს ბიზნესის მიზნების მისაღწევად პოზიტიური შიდა გარემოს შექმნას. შიდა მარკეტინგს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კომპანიის სრულფასოვნად ფუნქციონირებაში. საქართველოში შიდა მარკეტინგის განვითარება საწყის ეტაპზეა და ლიტერატურა შედარებით მცირეა, თუმცა ინტერესი მაღალია წარმატებული კომპანიების მხრიდან. სტატიაში განხილულია შიდა მარკეტინგი, მისი წარმოშობა და მნიშვნელობა, გამოყენების თავისებურება, უცხოური კომპანიების მიერ დანერგილი პრაქტიკა, ქართული მაგალითებისა და რეალობის შეფასება. სტატიისათვის ჩატარდა ანკეტური კვლევა, რისთვისაც გამოიკითხა 65 ადამიანი. კვლევის მიზანი დასაქმებულთა შეხედულებების განსაზღვრა იყო შიდა მარკეტინგთან დაკავშირებით, ასევე კომპანიებში არსებული პრობლემების აღმოჩენა და მათი აღმოფხვრის გზების დასახვა. გამოკითხვის შედეგად, გაცხადდა რომ შიდა მარკეტინგი ქართულ კომპანიებში ნაკლებად განვითარებულია, დასაქმებულთა უმრავლესობა უკმაყოფილოა სამსახურით, სამუშაო გრაფიკით, შვებულების დღეების რაოდენობით, ანაზღაურებითა და დაწინაურების მცირე შესაძლებლობებით.

დიდი ნაწილისთვის სირთულეს წარმოადგენს ცხოვრებისა და სამსახურის ბალანსის შენარჩუნება, ასევე თვითგანვითარების ნაკლებობა. გამოკითხვიდან ჩანს, რომ წარმატების მისაღწევად ქართულმა კომპანიებმა მეტი უნდა იზრუნონ მარკეტინგის გასატარებლად. დასაქმებულთათვის საჭიროა მინიმალური წახალისებების, სადაზღვევო პაკეტებისა და კორპორაციული სადამოების ნაცვლად, ინდივიდუალური, მათზე მორგებული ღონისძიებების განხორციელება, რაც ადამიანებს თვითრეალიზებისა და აქტიური მუშაობის შესაძლებლობას მისცემს, ხოლო სამსახური მხოლოდ ხელფასის მიღების საშუალება არ იქნება.

შესავალი

შიდა მარკეტინგის ცნება გასული საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, რომელიც ორგანიზაციის შიგნით განსახორციელებელ მარკეტინგის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. იგი ძირითადად ისეთ თანამშრომელთა პროფესიული ზრდისა და მოტივირებისკენაა მიმართული, რომლებიც უშუალო კონტაქტს ამყარებენ მომხმარებლებთან და მიმართულია ისეთი პირობების შექმნაზე, რომლის დროსაც ინდივი-

დის მუშაობა ერთი მთლიანი გუნდის საქმიანობას წარმოადგენს.

არც ისე დიდი ხნის წინ, ფრაზა „მომხმარებელი ყოველთვის მართალია“ საყოველთაოდ იყო აღიარებული. მომხმარებლის შენარჩუნება მოტივირებული, საქმეზე ორიენტირებული პროფესიონალი თანამშრომლების გარეშე შეუძლებელია. დრო იცვლება და ორგანიზაციები ახალი გამოწვევების წინაშე დგებიან. სიტუაცია შეიცვალა და დღეს ხშირად კომპანიებს სადავო სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღება თანამშრომლების სასარგებლოდ უხდებათ. ამის ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ დღეისათვის კარგი თანამშრომლის დაკარგვა, შესაძლებელია უფრო ძვირი დაგვიჯდეს, ვიდრე ერთი კონკრეტული მომხმარებლის დაკარგვით მიღებული ზარალი.

ახალ რეალობაში ბიზნესის წარმატების საზომი არამხოლოდ მისი ფინანსური მოგება, არამედ მისი პოზიტიური იმიჯიცაა. ეს წარმოდგენელია ეფექტური შიდა მარკეტინგის გარეშე, რომელიც მიზნის მისაღწევად პოზიტიური შიდა გარემოს შექმნას გულისხმობს.

ძირითადი ნაწილი

ცნობილი მარკეტოლოგების, კოტლერისა და არმსტრონგის აზრით, შიდა მარკეტინგი ორიენტირებულია მომხმარებლებთან კონტაქტსა და თანამშრომლების მოტივაციის ამაღლებაზე, მომსახურე პერსონალის მხარდაჭერაზე, რათა გუნდურად იმუშაონ მომხმარებელთა კმაყოფილების უზრუნველსაყოფად. (კოტლერი და არმსტრონგი, 2010).

შიდა მარკეტინგის გამოყენება კომპანიებში, დღეისათვის საკმაოდ აქტუალური გახდა, წარმატებული ბიზნესები ცდილობენ დანერგონ და გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები, დაინტერესდნენ საკუთარი

თანამშრომლებით და განსაზღვრონ პრიორიტეტები მომავალი წარმატებისათვის. ბოლო წლებში, გამრავალფეროვნდა უცხოენოვანი ლიტერატურა, გამოქვეყნდა სტატიები თუ პუბლიცისტური ნაშრომები შიდა მარკეტინგზე, რაც, თავის მხრივ, ხაზს უსვამს ამ თემის აქტუალობას, საერთაშორისო დონეზე.

საქართველოში შიდა მარკეტინგი ახლა იწყებს განვითარებას, ინფორმაცია ქართულ ენაზე არც ისე ბევრია, თუმცა ინტერესი მაღალია. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლეს კომპანიაში დღემდე დგას ისეთი პირველადი საკითხების პრობლემა, როგორცაა ანაზღაურების სიმცირე, სამუშაო საათების ზრდა, არაეფექტური შრომის განაწილება და სხვა, ზოგიერთი წარმატებული კომპანია მაინც ცდილობს განვითარებას და უკეთესი პირობების შექმნას თანამშრომლებისათვის.

წინა ათწლეულებში კომპანიები დროის უმეტეს ნაწილს გარე მარკეტინგულ აქტივობებს უთმობდნენ, რომელიც სამიზნე აუდიტორიის მოზიდვაზე იყო ორიენტირებული. შიდა მარკეტინგის იდეა თანამშრომლების დაინტერესებაში მდგომარეობს. ისინი წარმოადგენენ კომპანიის პირველად ბაზარს, უნდა იცნობდნენ საკუთარი სამსახურის მიზნებს, მისიას და ხედვას, იყვნენ მუდმივად ინფორმირებული და დაინტერესებული კომპანიის წარმატებით. წარმატებული კომპანიების მიერ შიდა მარკეტინგი, ორგანიზაციული ღირებულებების ინსტიტუციონალიზაციის ინსტრუმენტად იქნა აღიარებული, რომელიც თანამშრომელთა ვალდებულებების გასაუმჯობესებლად და მომხმარებელთა კმაყოფილების ამაღლების მიზნით გამოიყენება.

შიდა მარკეტინგის გამოყენებით კომპანია „ყიდის“ თანამშრომელს და არა კონკრეტულ პროდუქციას ან მომსახურებას,

რაც გულისხმობს შემდეგს: მომხმარებელს აქვს ურთიერთქმედება კომპანიის სხვადასხვა დეპარტამენტში, სხვადასხვა თანამშრომელთან, რომელიც მოიცავს პერსონალურ ურთიერთობებს (ადგილზე ვიზიტი), კომუნიკაციას ინტერნეტით (სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა, ფორუმები) ან ტელეფონით (ცხელი ხაზი, ონლაინ შეკვეთა). ასეთ დროს კომპანიის წარმატებისათვის აუცილებელია მომხმარებელი კმაყოფილი დარჩეს ყველა სერვისით. ამას იმ შემთხვევაში მოახერხებს, როდესაც დასაქმებული საკუთარ მოვალეობას პასუხისმგებლობით ასრულებს.

კომპანია როგორც მუშაობს მომხმარებელთა მოსაზიდად, ისევე უნდა ზრუნავდეს თანამშრომლებთან დაკავშირებითაც. სწორედ მათი მუშაობის შედეგებზე და ხარისხზე დამოკიდებული ორგანიზაციის მომავალი. თუ საკმარისი დრო და ენერჯია არ ეთმობა თანამშრომლებთან მუშაობას, იკარგება პოტენციური შემოსავალი. შესაბამისად, პოზიტიური სამუშაო გარემოს შექმნაზე დახარჯული თითოეული ლარი, საუკეთესო ინვესტიციად შეიძლება ჩაითვალოს.

როდესაც კომპანია კარგად გააცნობიერებს საკუთარი თანამშრომლების როლს საერთო მიზნის მიღწევაში, მუდმივად უნდა დაიწყოს ზრუნვა მათი ნაყოფიერების ზრდაზე, შემდეგი ღონისძიებების გატარებით:

- ✓ თანამშრომლებს მისცეს საშუალება გამოავლინონ საკუთარი უნარები და შესაძლებლობები;
- ✓ კომპანიაში თანამშრომლები დაცულად უნდა გრძნობდნენ თავს;
- ✓ ანაზღაურება უნდა იყოს შესაბამისობაში გაწეულ სამუშაოსთან;
- ✓ მუდმივად მიმდინარეობდეს კომუნიკაცია თანამშრომლებსა და ხელმძღვა-

ნელს შორის, რათა თავი კომპანიის სრულუფლებიან წევრებად იგრძნონ;

- ✓ აუცილებელია დასაქმებულებს ურთიერთობა ჰქონდეთ უშუალო ხელმძღვანელებთან.

ყოველივე ეს დაგვეხმარება, შემდეგი მიზნის მიღწევაში:

1. თითოეული თანამშრომელი ვაქციოთ ბრენდის პრომოუტერად და ადვოკატად;
2. თითოეული მათგანი განვაწყობთ პოზიტიურად;
3. გავზარდოთ ხარისხიანობის მაჩვენებელი;
4. შევამციროთ ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა;
5. გავზარდოთ თითოეული თანამშრომლის შრომის ეფექტიანობა;
6. დავაჩქაროთ ახალი თანამშრომლების მოძიებისა და ადაპტაციის პროცესი.

სამწუხაროდ, ქართულ კომპანიებში, შიდა მარკეტინგი ჯერ კიდევ არ არის საკმარისად განვითარებული. ბიზნესის წარმომადგენლებს სრულყოფილად არ აქვთ გათვითცნობიერებული რა გავლენა შეიძლება მოახდინონ თანამშრომლებმა მათ საქმიანობაზე. კომპანიის მფლობელებისათვის კარგი სამუშაო პირობები, ძირითადად მაღალ ანაზღაურებასთან, ფინანსურ წახალისებასთან ან დაწინაურებასთან ასოცირდება, ნაკლებად გამოიყენება უცხოური პრაქტიკა, მოტივაციის ან თვითგანვითარების სხვა შესაძლებლობების მისაცემად. თუმცა, არსებობენ კომპანიები, რომლებიც ცდილობენ სიახლეები დანერგონ ადამიანური კაპიტალის მენეჯმენტში.

ქართულ კომპანიებში შიდა მარკეტინგის შეფასების მიზნით ჩატარდა გამოკითხვა. სულ გამოიკითხა 65 რესპონდენტი, მათგან 42 ქალი და 23 მამაკაცი. გამოკითხულთა 80%-ზე მეტს უმაღლესი განათ-

ლება აქვს. გამოკითხულთა 57% ოპერაციული რგოლის წარმომადგენელია, 38% საშუალო რგოლის მენეჯერია, ხოლო 5% - ტოპ მენეჯმენტის წარმომადგენლები არიან. მათი უმრავლესობა (65%) კერძო სექტორშია დასაქმებული, 29% საჯარო სექტორში, 5% არასამთავრობო ორგანიზაციაში, ხოლო 1% საქველმოქმედო ორგანიზაციაში.

გამოკითხულთა 40%-ის ანაზღაურება 500-1000 ლარის ფარგლებში მერყეობს, ხოლო 34%-ის - 300-500 ლარის ფარგლებში, რაც არც ისე სახარბიელო მაჩვენებელია. მინიმალური ანაზღაურება, 300 ლარამდე, გამოკითხულთა 14%-ს აქვს, ხოლო შედარებით უკეთესი მაჩვენებელი, 1000-1500 ლარი და მეტი, ჯამში გამოკითხულთა მხოლოდ 12%-ს.


აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (85%) აღნიშნულ პოზიციებზე 5 წელზე ნაკლები დროის მანძილზე მუშაობს. მათ უმრავლესობას (60%) სტანდარტული სამუშაო გრაფიკი აქვს, რომელიც დღეში 8 საათს მოიცავს, ხოლო დანარჩენი ნახევარ განაკვეთზე, ჰიბრიდულად ან სახლიდან მუშაობს. არჩევანის შემთხვევაში, გამოკითხულთა უმრავლესობა უპირატესობას მოქნილ გრაფიკს ანიჭებს, 19%-თვის კი 8 საათიანი სამუშაო დღე მისაღებია.

კითხვაზე, შეიცვლიდნენ თუ არა სამსახურს ალტერნატივის არსებობის შემთხვევაში, დადებითად 58% პასუხობს (რაც ძალიან დიდი მაჩვენებელია), 17% უარს ამბობს, ხოლო 25%-ს არ აქვს ზუსტი პასუხი. (იხ. დიაგრამა 1).


კითხვაზე თუ რატომ აგრძელებენ აღნიშნულ პოზიციაზე მუშაობას, გამოკითხულთა ყველაზე მეტი რაოდენობა (32%) კარიერულ წინსვლას ასახელებს მიზეზად, 22% უალტერნატივობას, 19% მეგობრულ

კოლექტივს, უფრო მცირე ნაწილი კი სამსახური-ცხოვრების ბალანსით კმაყოფილებას, კარგ ანაზღაურებას და სიახლეების შიშს.

დიაგრამა 1. შეიცვლიდით თუ არა სამსახურს ალტერნატივის არსებობის შემთხვევაში?




დიაგრამა 2. რატომ აგრძელებთ აღნიშნულ პოზიციაზე მუშაობას?



სამსახურის არჩევისას გამოკითხულთა გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭეს შემდეგ 3 ძირითად ფაქტორს: განვითარების შესაძლებლობა (72%), მაღალი ანაზღაურება (52%) და კომფორტული სამუშაო გარემო (34%).

დიაგრამა 3. სამსახურის არჩევისას რას მიანიჭეთ გადამწყვეტი მნიშვნელობა?



დასვენების დღეები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამშრომელთა ეფექტურ მუშაობასა და განვითარებაზე. მიუხედავად ამისა, გამოკითხულთა 27%-ს სახელმწიფო დღესასწაულებზე დასვენების შესაძლებლობაც კი არ აქვს, ხოლო გამოკი-

თხულთა 40%-ს სასურველ დროს შვებულების აღებაზე ერთხელ მაინც შექმნია პრობლემა. გამოკითხულთა 20%-ს ქონია შემთხვევა როცა შვებულებით ვერ უსარგებლია. მსგავსი ფაქტები სამუშაოსა და ცხოვრების ბალანსის დარღვევას იწვევს, რაც დროთა განმავლობაში აისახება არაეფექტურ საქმიანობაში, მოტივაციის დაკარგვასა და ნაკლებ ინიციატივანობაში.


სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების მიმოხილვისას ირკვევა, რომ სამსახურში ყოფნა სიამოვნებას ნაწილობრივ ანიჭებს გამოკითხულთა 54%-ს. ამავე რაოდენობის გამოკითხული კმაყოფილია საკუთარ კოლექტივში მუშაობით და თვლის, რომ სამსახურში განვითარების შესაძლებლობა აქვს, ამავდროულად კი მეტ პირად დროს საჭიროებენ პიროვნული განვითარებისთვის.

გამოკითხულთა უმრავლესობა (63%) აღნიშნავს, რომ იცნობს ამჟამად საქართველოში მოქმედ შრომის კოდექსს, ხოლო 37% აღნიშნავს, რომ არ გასცნობია შრომის კოდექსს, რაც მიანიშნებს, რომ დასაქმებულებს არ აქვს წარმოდგენა საკუთარ უფლებებზე, დამსაქმებლის ვალდებულებებსა და განსახორციელებელ აქტივობებზე.

გამოკითხულთა 40-დან 50%-მდე აღნიშნავს, რომ ხელმძღვანელობა ითვალისწინებს დასაქმებულთა საჭიროებებს, წახალისებს ახალ იდეებს/ინიციატივებს, აინტერესებს დასაქმებულთა აზრი და პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში დისკუსიაში მონაწილეობას და კარიერული და პერსონალური ზრდისთვის საჭირო ტრენინგებს სთავაზობს. ამის საპირისპიროდ, გამოკითხულთა 20-30% პერიოდულად უკმაყოფილოა ზემოთ აღნიშნული საკითხებით, არ ეთანხმება კოლეგებს და ამავდროულად თვლის, რომ მენეჯმენტი არ არის ორიენტირებული დასაქმებულთა სამუშაო

პრობლემების აღმოფხვრაზე, უწევთ სამუშაოს სახლში წაღება და ნაკლები დრო რჩებათ სამსახურისა და ცხოვრების ბალანსისათვის.


კითხვაზე, თვლიან თუ არა რომ მათი ანაზღაურება შესაბამება გაწეულ შრომას, გამოკითხულთა მხოლოდ 22% პასუხობს დადებითად, ხოლო 35% უარყოფითად, 43% კი თვლის, რომ ნაწილობრივ (იხ. დიაგრამა 4) მათგან 29% აღნიშნავს, რომ რთული სამუშაო პირობები აქვს, დატვირთული სამუშაო გრაფიკის, მცირე შესვენების საათების, აგრესიული კლიენტების მომსახურებითა და გაწეული შრომის შეუფასებლობის სახით. (იხ. დიაგრამა 5)



კითხვაზე თუ რას სთავაზობს ყველაზე ხშირად საკუთარი კომპანია, გამოკითხულთა უმრავლესობა (60%-მდე) ჯანმრთელობის დაზღვევასა და კორპორაციულ საღამოებს/წვეულებებს ასახელებს; შედარებით მცირე ნაწილი (45%-მდე) ფულად წახალისებებს, პრემიებსა და არაფულად წახალისებებს (ტრენინგები, სემინარები).

დიაგრამა 6.

ხედავთ თუ არა საკუთარ თავს აღნიშნულ კომპანიაში 3 წლის შემდეგ?



მე-6 დიაგრამაზე მოცემულ კითხვაზე ხედავენ თუ არა დასაქმებულები საკუთარ თავს აღნიშნულ კომპანიაში 3 წლის შემდეგ

დეგ, 32%-მა უარყოფითი პასუხი გასცა, 29%-მა თავი შეიკავა, დანარჩენმა 31%-მა კი სხვადასხვა მოცემულობის შემთხვევაში დადებითად უპასუხა.

დასკვნა

როგორც კვლევამ გვაჩვენა, დასაქმებულთა უმეტესობა არ არის კმაყოფილი სამსახურით და სამუშაო პირობებით. მათი უმრავლესობა უჩივის დაბალ ანაზღაურებას, არასასურველ სამუშაო გარემოსა და დაწინაურების მცირე შესაძლებლობას. გამოკითხულთა ნაწილისთვის უფრო დიდ პრობლემას თვითგანვითარების ნაკლებობა, ცხოვრებისა და სამსახურის ბალანსის სირთულე წარმოადგენს.

როდესაც გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სამსახურს აუცილებლად შეიცვლიდა უკეთესი პირობების სანაცვლოდ, ეს მხოლოდ ანაზღაურების სიმცირის მიზეზით არ ხდება. ასეთ დროს კომპანიამ დასაქმებულთა საჭიროებების შესახებ ინფორმაცია უნდა მოიპოვოს, რათა პრობლემების აღმოფხვრაზე იზრუნოს, საკუთარი წარმატებისთვის.

განვითარების შესაძლებლობა ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია, რისთვისაც კონკრეტული სამსახურები აირჩიეს გამოკითხულებმა, კომპანია უნდა ცდილობდეს მსგავსი კადრის შენარჩუნებას, მისი ინტერესის გათვალისწინებას და სამუშაო გარემოს გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული კომპანიები შიდა მარკეტინგზე ნაკლებად ზრუნავენ. ისინი დასაქმებულებისათვის მინიმალურ წახალისებებს ქმნიან სადაზღვევო პაკეტებისა და კორპორაციული სადამოების სახით, ნაკლებია ინდივიდუალური, თანამშრომლებზე მორგებული წახალისებები, რაც ადამიანებს უბიძგებთ სხვა სამსახურის მივლინას.

მიგვაჩნია, რომ ქართული კომპანიების

წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელია მათ მიერ მრავალფეროვანი შიდა მარკეტინგული პროგრამის განხორციელება, რათა დაქირავებული თანამშრომლები იყვნენ მოტივირებული და ინიციატივიანი, სამსახური კი მხოლოდ ხელფასის მიღების საშუალებას არ წარმოადგენდეს.

ლიტერატურა:

1. ქარდავა ე., (2018) დასაქმებულთა უფლებები. საერთაშორისო მიდგომები, ასოცირების შეთანხმების ვალდებულებები, საქართველოს რეალობა, რეფორმები, მიმართება ევროპასთან. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. <https://www.asocireba.ge/files/Eka-Kardava-Labour-rights-2018.pdf>
2. კოტლერი ფ., არმსტრონგი გ., (2015). მარკეტინგის საფუძვლები. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი.
3. Ahmed, P. K., Rafiq, M., & Saad, N. M. (2003). Internal marketing and the mediating role of organisational competencies. *European Journal of Marketing*, 37(9), 1221–1241. Retrieved from <http://ceres.emeraldinsight.com>
4. Ballantyne, D. (2000). The strengths and weaknesses of internal marketing. In *Internal Marketing*. Routledge. <https://doi.org/doi:10.4324/9780203207352.ch3>
5. Bansal, H. S., Mendelson, M. B., & Sharma, B. (2001). The impact of internal marketing activities on external marketing outcomes. *Journal of Quality Management*. Retrieved from <http://www.sciencedirect.com>
6. Chan, K. C., Gee, M. V., & Steiner, T. L. (2000). Employee happiness and corporate financial performance. *Financial Practice & Education*, 10(2), 47-52
7. Ferdous, A. S., & Polonsky, M. (2014). The impact of frontline employees' perceptions of internal marketing on employee outcomes. *Journal of Strategic Marketing*, 22(4), 300–315. Retrieved from <http://10.0.4.56/0965254X.2013.876077>
8. Kotler, P. (1997). *Marketing Management – Analysis, Planning, Implementation and Control*. Upper Saddle River, NJ: Prentice Hall
9. Narteh, B., & Odoom, R. (2015). Does Internal Marketing Influence Employee Loyalty? Evidence From the Ghanaian

EMPLOYEE SATISFACTION AND INTERNAL MARKETING PROBLEMS IN GEORGIA

Tea Valishvili

Associate Professor of Akaki Tsereteli
State University, tea.valishvili@atsu.edu.ge

Lia Genelidze

Akaki Tsereteli State University,
Visiting Teacher, lia.genelidze@atsu.edu.ge

KEY WORDS: *Marketing; Internal marketing; Employee incentives; Georgian companies*

J.E.L. classification: M3, M31

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.10>

For citation: Valishvili T., Genelidze L., (2023) Employee satisfaction and internal marketing problems in Georgia. (in Georgian). Economic Profile, Vol. 18, 2(26), p. 69-76. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.10>

Summary

The phrase "the customer is always right" was universally accepted for quite a long time. It's clear that customer retention is impossible without motivated, case-oriented professional employees. But time has changed, organizations face new challenges, and companies often have to choose in favor of employees in disputed situations. The main reason for this is that the loss of a good employee can cost the business more than loss of the one particular customer.

In the new reality, the measure of business success is not just financial profit but also its positive image, which is unthinkable without effective internal marketing. It means creating a worthwhile internal environment for employees to achieve business goals. Internal marketing plays a significant role in the development of the company. Foreign companies are constantly working to create better requirements for their employees. The development of internal marketing in Georgia is in the initial phase, the literature is relatively small, but there is a high interest from successful companies.

The article discusses internal marketing, its origin and importance, the peculiarity of its use, the practice introduced by foreign companies, and the assessment of Georgian examples and reality. A questionnaire survey was conducted for the article, where 65 people were interviewed. The purpose of the research was to study employees' satisfaction with the work environment, to determine their views and preferences, to analyze the current situation in companies regarding internal marketing, to discover the existing problems, and to determine the ways of their elimination.

When asked if they would change their job if there were an alternative, 58% of the respondents answered positively (which is a very high rate), only 17% refused, and 25% did not have an exact answer.

32% of the respondents continue to work in their position, because of career advancement, 22% because of a lack of alternatives, 19% for the friendly team, and a smaller number of the respondents answer satisfaction with the work-life balance, good wages, and fear of new things. When choosing a job, the respondents gave decisive importance to the following main aspects: opportunity for development (72%), high salary (52%), and comfortable working environment (34%). 40% of the respondents had at least once a problem with a vacation at the desired time; 20% had an issue when they could not use their vacation. Such facts lead to a violation of the work-life balance, and over time is reflected in ineffective work, loss of motivation, and less initiative.

63% of respondents answered that they are familiar with the Labor Code in Georgia, while 37% are not, which indicates that employees have no idea about their rights, the employer's obligations, and exemplary activities. Only 40 to 50% of the respondents answered that the management takes into account the needs of employees, encourages new ideas/initiatives, is interested in the opinion of employees, offers to participate in the discussion in case of problems, and suggests training for career and personal growth. On the contrary, 20-30% of respondents are occasionally dissatisfied with the above-mentioned issues, they do not agree with their colleagues and believe that the management isn't focused on eliminating the work problems of employees, they have to take work home and have less time for work-life balance.

When asked whether believe that their income corresponds to the work done, only 22% of the respondents answered positively, 35% answered negatively, and 43% believed that it partially did. 29% reported that they have difficult working conditions, in the form of busy work schedules, short break hours, aggressive customer service, and undervaluation of

their work. As the results show, the majority of companies only offer health insurance and corporate evenings to employees; A relatively small part (up to 45%) to financial incentives, bonuses, and non-financial incentives (training, seminars). It is noteworthy that an abundance of employees does not see themselves in the mentioned company after three years, which once again assures us that they are not satisfied with the current situation.

As a result of the survey, it was announced that internal marketing in Georgian companies is slightly developed, and the majority of employees are dissatisfied with their jobs, work schedule, number of vacation days, pay, and small opportunities for promotion. For most of them, it is difficult to maintain the balance of life and work, as well as the lack of self-development.

The survey shows that Georgian companies should start paying more attention to internal marketing to achieve success. Instead of minimum incentives, insurance packages, and corporate evenings for employees, implementation of individual events tailored to them, which will give people the opportunity for self-realization and dynamic work, and the job will not be just a way to get earnings.

References

1. Kardava E. (2018), Employees' rights, international approaches, association agreement obligations, Georgian reality, reforms, relations with Europe. <https://www.asocireba.ge/files/Eka-Kardava-Labour-rights-2018.pdf>
2. Ahmed, P. K., Rafiq, M., & Saad, N. M. (2003). Internal marketing and the mediating role of organisational competencies. *European Journal of Marketing*, 37(9), 1221–1241. Retrieved from <http://ceres.emeraldinsight.com>
3. Ballantyne, D. (2000). The strengths and weaknesses of internal marketing. In *Internal Marketing*. Routledge. <https://doi.org/doi:10.4324/9780203207352.ch3>
4. Bansal, H. S., Mendelson, M. B., & Sharma, B. (2001). The impact of internal marketing activities on external marketing outcomes. *Journal of Quality Management*. Retrieved from <http://www.sciencedirect.com>
5. Chan, K. C., Gee, M. V., & Steiner, T. L. (2000). Employee happiness and corporate financial performance. *Financial Practice & Education*, 10(2), 47-52
6. Ferdous, A. S., & Polonsky, M. (2014). The impact of frontline employees' perceptions of internal marketing on employee outcomes. *Journal of Strategic Marketing*, 22(4), 300–315. Retrieved from <http://10.0.4.56/0965254X.2013.876077>
7. Kotler, P. (1997). *Marketing Management – Analysis, Planning, Implementation and Control*. Upper Saddle River, NJ: Prentice Hall
8. Kotler F., Armstrong G. (2015), *Fundamentals of Marketing*, Tbilisi, Georgia, pg.5. Bakur Sulakauri Publishing. (in Georgian).
9. Narteh, B., & Odoom, R. (2015). Does Internal Marketing Influence Employee Loyalty? Evidence From the Ghanaian.

სახელმწიფოს როლი ტურისტული ბიზნესის განვითარებაში

გოდერძი შანიძე

ბიზნესისა და მართვის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

goderdzi.shanidze@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: ტურისტული ბიზნესი; ტურისტული ნაკადები; ტურისტული პოტენციალი; ტურისტების მოზიდვა.

J.E.L. classification: M21, Z38

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.09>

ციტირებისთვის: შანიძე გ., (2023) სახელმწიფოს როლი ტურისტული ბიზნესის განვითარებაში. ეკონომიკური პროფილი. ტ. 18, 2(26), გვ.77-84. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.09>

ანოტაცია. თანამედროვე ეტაპზე, ტურისტული ბიზნესის განვითარებაში სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ღირშესანიშნაობები, ინფრასტრუქტურის მოწყობის დონე, მომსახურების შეთავაზებები, მოგზაურობების ორგანიზება, ტურისტული პროდუქტის ბაზარზე გატანა და ა.შ. ქვეყანაში ტურიზმის განვითარებით სხვებთან ერთად დაბალშემოსავლიანი მოსახლეობაც იღებს სარგებელს. ეს შეიძლება ხდებოდეს საქონლისა და მომსახურების ტურისტებისათვის მიყიდვით და მცირე საწარმოების ფუნქციონირებით, რაც სახელმწიფოს მნიშვნელოვანი სტრატეგიული ფაქტორია.

მოსახლეობის დასაქმების, სოციალური პრობლემების მოგვარების, ქვეყანაში ვალუტის შემოდინების, ქვეყნის ბიუჯეტის შევსების, ეკონომიკის სტაბილურობის, მრავალფეროვანი წარმოებისა და მომსახურების შექმნის, რეგიონული განვითარების და ა.შ. მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ტურისტული ბიზნესი.

ტურიზმი უნდა იყოს ქვეყნის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი საყრდენი და პრიორიტეტული დარგი იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც გააჩნიათ რეალურად ტურისტული პოტენციალი და ფლობს კონკურენტულ უპირატესობებს. საქართველოს კი ასეთი უპირატესობები ნამდვილად გააჩნია.

შესავალი

ტურისტული ბიზნესის განვითარების საკითხები საქართველოში საკმაოდ აქტუალური თემაა. ამ მიმართულებით სახელმწიფოს ჩართულობა და მისი წვლილი ტურისტული ბიზნესის განვითარებაში საკმაოდ მაღალია. ბოლო წლებში, საქართველოში პანდემიამდე პერიოდში ტურისტული ბიზნესი ერთ-ერთ სწრაფად მზარდ სექტორად ჩამოყალიბდა. COVID-19 პანდემიის პერიოდში კი ისევე, როგორც ბიზნესის სხვა სფეროები, ესეც რეცესიით ხასიათდებოდა. თუმცა პოსტპანდემიურ პერიოდში ტურისტული ბიზნესი აღმავლობის გზით განვითარდა, რაც ერთ-ერთმა სახელმწიფოს აქტიურმა ჩართულობამაც განაპირობა.

ტურისტული ბიზნესი საქართველოში, ქვეყნის სხვადასხვა ბიზნეს სექტორების განვითარების მასტიმულირებელი ხდება. მომსახურების სფეროსა და ფერმერული მეურნეობების განვითარებისთვის ტურიზმი დამატებითი ფინანსური შემოსავლების ერთ-ერთი საშუალებაცაა.

ძირითადი ნაწილი

საქართველოში ტურისტული ბიზნესი ქვეყნის ეკონომიკის მასტიმულირებელი საშუალებაა. იგი ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, ავითარებს მცირე ბიზნესს, ხელს უწყობს სხვა ბიზნეს სექტორების შემოსავლის ზრდას, ქვეყანაში წარმოებული და იმპორტირებული პროდუქციის რეალიზაციას. შესაბამისად, როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც ეს დარგი სახელმწიფოს შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

მომსახურებებს შორის, ტურიზმისა და მოგზაურობის ინდუსტრია ერთ-ერთი სწრაფად აღდგენადი სექტორია. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემების მიხედვით, 2021 წელს აღნიშნული დარგის კონტრიბუციამ მთლიან მშპ-ში 5.8 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა (ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შეადგინა 21.7%) და ხელი შეუწყო 289 მლნ სამუშაო ადგილის შექმნას. მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღებით აღნიშნული სექტორის წვლილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ის 6.1% და ერთი ადგილი ყოველი 11 სამუშაო ადგილიდან (ტურიზმის სტატისტიკა, 2021).

გასული წლების კოვიდ-პანდემიამ უდუდესი დარტყმა მიაყენა ტურისტულ ბიზნესს. ფაქტობრივად აღარ იყო მოთხოვნა ტურისტულ სააგენტოებზე, სატრანსპორტო კომპანიებზე, მინიმუმამდე დავიდა კვების ობიექტების, განთავსების საშუალებების და მსგავსი პროფილის ბიზნესის მომხმარებელთა რიცხოვნობა. ფინანსური პრობლემების გადასაჭრელად საჭირო გახდა ხარჯების ოპტიმიზაცია, თანამშრომლების დათხოვნა ან მათი ხელფასების შემცირება. მსოფლიო ტურიზმის

ორგანიზაციის (UNWTO) მონაცემების მიხედვით, 100-დან 120 მილიონამდე სამუშაო ადგილი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, მაშინ როდესაც 2019 წელს ტურიზმში დასაქმებულთა რიცხვი 330 მლნ-ს აღწევდა (United Nations, 2020). მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა საქართველოს ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად შეაფერხა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტატისტიკის თანახმად, პანდემიის დასრულების შემდგომ, 2022 წლის ივლისში საქართველოში ჩამოვიდა 718,401 საერთაშორისო მოგზაური. ეს რიცხვი გაზრდილია 2021 წლის ივლისის თვესთან შედარებით 177%-ით, ხოლო 2019 წლის ივლისთან შედარებით, ტურისტული ვიზიტები აღდგენილია 80.6%-ით. 2022 წლის პირველ 7 თვეში საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 1,668,983 შეადგინა, რაც 162%-ით არის გაზრდილი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (ტურიზმის სტატისტიკა, 2022).

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციის მიხედვით, 2022 წელს საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველომ 3.5 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო. მათივე განცხადებით, 2022 წელს მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2019 წლის მაჩვენებელს გადააჭარბა და დაფიქსირდა რეკორდული მაჩვენებელი 3 516 634 479 აშშ დოლარი, რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებლის აღდგენაა 107.6%-ით.

საქსტატის მონაცემებით, 2022 წელს, საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების 5.4 მლნ. შემოსვლა დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 2.9-ჯერ მეტია. ვიზიტების უმეტესობა (57.2%) რეგიონულ დონეზე თბილისში განხორციელდა, შემ-

დეგ მოდის აჭარა (45.1%) და მცხეთა-მთიანეთი (19%). დანარჩენი რეგიონებიდან ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა ქვემო ქართლში - 7.9%, სამცხე-ჯავახეთში - 7.7%, იმერეთსა - 7.5% და კახეთში - 5.8% (საერთაშორისო ვიზიტორები...2022).

აღნიშნული კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო მიმზიდველი ქვეყანაა ტურისტებისათვის სხვადასხვა მიმართულებით და არსებული ფასებით. სწორედ ამიტომ ფიქსირდება ყოველწლიურად შემოსული ტურისტების მზარდი რაოდენობა, რაც ქვეყნის ეკონომიკის მასტიმულირებელია.

საქართველოში, ტურისტული ბიზნესის განსავითარებლად პანდემიისა და მის შემდგომ პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან საჭირო გახდა სისტემური მიდგომის შემუშავება. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებამ ამ მიმართულებით გარკვეული მხარდაჭერა გამოხატა და მოახდინა ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის აღებული სესხების გადავადება, რიგი კომპანიების გადასახადებისაგან გათავისუფლება, გარკვეული შეღავათების დაწესება ა.შ. (Chikhadze..., 2021:112)

თავის მხრივ, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ განახორციელა შემდეგი აქტივობები: კერძო სექტორის მხარდაჭერა და ტრენინგები ოპერირების ადაპტირების მიმართულებით, კომუნიკაცია კერძო სექტორებთან, რეკომენდაციები და სამომავლო მოქმედებების დაგეგმვა, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

ტურიზმის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პროექტმა “იმუშავე საქართველოდან“, რომელიც გულისხმობდა საქართველოში დისტანციურად მუშაობის სურვილის მქონე უცხო ქვეყნის მაღალანაზღაურებად მოქალაქეების საქართვე-

ლოში მასპინძლობას.

ამ პროექტმა ხელი შეუწყო საქართველოში უფრო მეტად მხარჯველუნარიანი ტურისტების შემოსვლას და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ამით გაიზარდა მოგზაურების სტატისტიკურად დარჩენის პერიოდი საქართველოში, ვიდრე იყო გასულ წლებში.


საქართველოს ბევრი რამის შეთავაზება შეუძლია ვიზიტორებისთვის: მრავალფეროვანი ლანდშაფტი, თვალწარმტაცი ბუნება, მთის ხეობა, შავი ზღვის სუბტროპიკული ზონა, მდინარეები და ჩანჩქერები, კლდეში ნაკვეთი ქალაქები, კურორტები და ისტორიული ძეგლები, ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობა, სამზარეულო და ა.შ. სწორედ ამ მრავალფეროვნებით არის საქართველო მიმზიდველი უცხოელი ტურისტებისთვის (აფხაზიშვილი, 2021)

სახელმწიფო პროგრამა, „აწარმოე საქართველოში“ დიდ სტიმულს აძლევს იმ ადამიანებს, რომლებიც სასტუმრო ბიზნესით არიან დაინტერესებულნი და აშენებენ ახალ სასტუმროს საქართველოს რეგიონებში, (თბილისისა და ბათუმის გარდა), ასევე ახდენენ არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. სახელმწიფო სთავაზობს გარკვეულ პირობებს ბიზნესის განსახორციელებლად და ამ პირობების გაკმაყოფილების შემთხვევაში დაინტერესებულ ადამიანებს თანადაფინანსებით სახელმწიფო უფინანსებს ბიზნეს იდეებს.

ასეთი პროგრამების მიზანია ქვეყანაში ტურისტული სეგმენტის (ტურიზმის და ტურიზმთან დაკავშირებული მომსახურების) პოპულარიზაცია, განვითარება, გაფართოება, მომსახურების სერვისის განვითარება, ფინანსური მხარდაჭერა.

დიაგრამა 1


გაქვთ თუ არა ინფორმაცია სახელმწიფოს მხრიდან ტურისტულ სექტორების ბიზნესისათვის ხელშემწყობი პროგრამების არსებობის შესახებ



წყარო: საკუთარი კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, 2023.

დიაგრამა 2


თქვენი აზრით რამდენად არის საქართველოში ტურიზმის განვითარების პერსპექტივები? შეაფასეთ 5 ბალიანი სისტემით



წყარო: საკუთარი კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, 2023.

დიაგრამა 3

თქვენი აზრით, ხელი უნდა შეუწყოს თუ არა სახელმწიფომ ტურისტულ ბიზნესს განვითარებაში? შეაფასეთ 5 ბალიანი სისტემით



წყარო: საკუთარი კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, 2023.

სტატის მომზადებისას, კვლევის ფარგლებში ჩავატარეთ შერჩევითი გამოკითხვა იმ მიზნით, რომ გაგვეჩვენა, რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ჩართულობა

ტურისტული ბიზნესის ხელშესაწყობად და რამდენად ინფორმირებულია საზოგადოება სახელმწიფოს მხრიდან ტურისტული ბიზნესის მხარდამჭერი ღონისძიებების

- 3%96%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-2022.pdf (გადამოწმებულია 3.11.2023)
5. აფხაზიშვილი მ., (2021) ტურიზმი და მისი გავლენა ეკონომიკაზე. საქართველოს ეკონომიკა, 20.07.2021. <https://geoeconomics.ge/?p=13699> (გადამოწმებულია 3.11.2023)
6. Chikhladze N., Chikhladze L., Rusadze N., Challenges of Economic Activities of Cities in the Context of the Covid-19 Pandemic. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 2021, vol. 15, #1 : 110-116. <http://science.org.ge/bnas/vol-15-1.html>

THE ROLE OF THE STATE IN THE DEVELOPMENT OF TOURISM BUSINESS

Goderdzi Shanidze

Doctor of Business and Management, Associate Professor,
Kutaisi University, Akaki Tsereteli State University
Goderdzi.shanidze@unik.edu.ge

KEY WORDS: tourism business; tourist flows; tourist potential; attracting tourists.

J.E.L. classification: M21, Z38

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.09>

For citation: Shanidze G., (2023) The role of the state in the development of tourism business (in Georgian). Economic Profile, Vol. 18, 2(26), p. 77-84. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.09>

Summary

Tourism business in Georgia is a means of stimulating the country's economy, it creates additional jobs, develops small businesses, is an important source of income for other business sectors, promotes the sale of products produced and imported in the country, and therefore, as in other countries, this sector is an important source of state income in Georgia.

According to the information spread by the National Tourism Administration, in 2022, Georgia received 3.5 billion dollars in income from international travel. According to their own statement, the income received from travel in 2022 exceeded the figure of 2019 and showed a record figure of 3,516,634,479 USD, which is a recovery of the similar figure of 2019 by 107.6%.

According to the data of the National Statistical Service of Georgia, in 2022, 5.4 million international non-residents travelled to Georgia, which is 2.9 times higher than the previous year. Most of the visits were made in Tbilisi at the regional level, 57.2%, followed by Adjara with 45.1% and Mtskheta-Mtianeti with 19%. From the rest of the regions, the most visits were made to Kvemo Kartli 7.9%, Samtskhe-Javakheti 7.7%, Imereti 7.5% and Kakheti 5.8%.

In Georgia, in order to develop the tourism business during the pandemic and post pandemic period, it was necessary for the state to develop a systematic approach. It is worth noting that the government has shown some support in this direction and carried out the postponement of loans taken by individuals and legal entities, exempting a number of companies from taxes and establishing certain benefits, etc. The National Tourism Administration, in its turn, implemented the following activities: support of the private sector and trainings in the direction of adaptation of operations, communication with private sectors, recommendations and planning of future actions, deepening of international cooperation.

The project "Work from Georgia" of the National

Tourism Administration made a great contribution to the development of tourism, which meant hosting highly paid citizens of foreign countries who wish to work remotely in Georgia.

This project contributed to the entry of more affluent tourists to Georgia, and what is very important, it increased the statistical stay period of travelers in Georgia compared to previous years.

Tourism, like other economic sectors, needs the establishment of appropriate state policies and state support, both at the local, regional and national levels, for stable development.

The development of tourism business in Georgia and the growth of incomes from this field were caused by the recognition of tourism as a priority area of the country's economy.

For a country that actually has tourism potential and possesses certain competitive advantages, tourism should be one of the main pillars and priority areas of the country's development strategy. Our country really has this potential, and with the support of the state, the tourism business will become more competitive throughout the region.

Conclusions

1. The state should make the population more informed about the existence of state programs promoting tourism business, so that interested people can get involved in it if they wish.
2. The state should actively take care of the arrangement of destinations and infrastructure.
3. The more the demand of foreign tourists based on the increased tourist flows will be satisfied with local products, the more stimulating it will be for the economy of our country.
4. Involvement of the state in the development of tourism business is undoubtedly necessary.
5. The development of tourism business can make a significant contribution to the solution of the country's unemployment problem and the stability of the exchange rate of the lari.

References

1. Statistical review of Georgian tourism 2021. National Tourism Administration of Georgia. URL: https://gnta.ge/wp-content/uploads/2022/10/2021_GEO.pdf (verified on 3.11.2023)
2. UN. The Sustainable Development Goals Report 2020. <https://unstats.un.org/sdgs/report/2020/> (verified 3.11.2023)
3. Tourism in Georgia in 2022 <https://netgazeti.ge/news/624737/> (verified on November 3, 2023)
4. International visitors to Georgia. National Tourism Administration of Georgia 2022 <https://gnta.ge/wp-content/uploads/2023/06/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-2022.pdf> (verified on 3.11.2023)
5. Abkhazishvili M., (2021) Tourism and its impact on the economy. *Economy of Georgia*, 20.07.2021. <https://geoeconomics.ge/?p=13699> (verified on 3.11.2023);
6. Chikhladze N., Chikhladze L., Rusadze N., Challenges of Economic Activities of Cities in the Context of the Covid-19 Pandemic. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 2021, vol. 15, #1 : 110-116. <http://science.org.ge/bnas/vol-15-1.html>

ეთნოეკონომიკის ზოგიერთი საკითხი

დავით შავიანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, david.shavianidze@atsu.edu.ge

გიორგი ღავთაძე

ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, george.gavtadze@atsu.edu.ge

საკვანძო სიტყვები: ეთნოეკონომიკა; სათემო მმართველობა; ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობები; ეკონომიკური ყოფა.

J.E.L. classification: N9, R0

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.03>

ციტირებისთვის: შავიანიძე დ., ღავთაძე გ., (2023) ეთნოეკონომიკის ზოგიერთი საკითხი. ეკონომიკური პროფილი. ტ. 18, 2(26), გვ. 85-94. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.03>

ანოტაცია. ნაშრომში, ეთნოგრაფიული მასალების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე, განხილულია ეთნო-ეკონომიკის საინტერესო საკითხები. კერძოდ:

მიზეზები სასოფლო დასახლებების დაცვის პროცესის დაწყებისა, რომელიც ახლაც მიმდინარეობს, თუმცა სათავეს იღებს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედიდან; შრომა-საქმიანობაში ერთმანეთის გვერდით დგომის სურვილიანი წესის უარყოფის შედეგები; პირადი ეკონომიკურ-ყოფითი და სოციალური მდგომარეობის გაკეთილშობილების („შეძლებულად ცხოვრება“) თანამედროვე საშუალებების ინტეგრირება ყოველდღიურობაში.

სოფლის დაცვისა და ტრადიციული მეურნეობის გაუქმების მიზეზებად გვევლინება შემდეგი:

1. „ხალხისეული ცხოვრების“, მეურნეობის მართვის ტრადიციული, დროით გამოცდილი მიდგომების უგულვებლყოფა.

2. ტრადიციული ადგილობრივი სათემო მმართველობის გაუქმება, მაგალითად, „მახვშის“ ინსტიტუტის ჩანაცვლება „ხრიკის მცოდნე, ხელფასიანი“ მამასახლისებით.

3. ერთობის, ერთმანეთისთვის შრომის ეტაპობრივი ჩანაცვლება მიდგომით „ჩემი იყოს“. ვგულისხმობთ, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების მოწესრიგების გზაზე მივიწყებულ იქნა ერთმანეთისთვის „უანგარო დახმარების წესი“;

4. „კანონისმიერად აღიარებული“, თუმცა

ადამიანის შესაძლებლობა გაუთვალისწინებელი ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობები. რწმენის მადლიერებელი „ბეგარის“ ჩანაცვლება „კანონის მუხლით შენზე მოწერილი შეუსაბამო ნატურით“;

5. ღმერთისთვის „ხელმოწყობილი ბედნიერების“ თხოვნის ჩვეულების მივიწყება.

ვლინდება, რომ სახელმწიფოს მხიდან სოციალური კეთილდღეობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ეკონომიკური პროგრამების ამოქმედებამდე, პიროვნება, თემი თავად იყო ორიენტირებული მიეღო უკეთესი ყოფა და „ეკონომიკურად წელგამართულებს“ გაენაწილებინათ „სარგებელი“ საკუთარი ოჯახისა და მტერ-მოყვარის საჭიროებისთვის.

კომპლექსური კვლევის საფუძველზე ირკვევა ტერმინები: „ნამახი“, „ცუდი მეორშაბათე“, „გაშვება“ და „სიმშვიდე“, „ბეგარა“ ისტორიული მნიშვნელობა; ასევე, „რწმენიანი და გათვლილი შრომით“ მიღებული უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობის სახელი - „შედარებით უკეთესი ყოფა“. ერთობილი კვლევა დავაფუძნეთ კიდევ ეთნოგრაფიული მასალებს. შევუდარეთ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენამდე და ჩვენს მერე დაბეჭდილ მსგავსს.

შესავალი

ქართული და უცხოური ისტორიული წყაროები, ეთნოგრაფიული მასალები, ჩვენამდე მოღწეული ეროვნული ზეპირსიტყ-

ვიერება და ხალხის მეხსიერება, ეს ერთგავრი „მუზეუმ-არქივი“, ადასტურებს, რომ საქართველო ყოველთვის იყო აგრარული, ძირითადად, სამიწათმოქმედო მეურნეობის ქვეყანა. დომინირებდა მოსახრება, რომ ძლიერი სოფელი, მთლიანად სახელმწიფოს სიძლიერეს განაპირობებდა და პირიქით.

კომპლექსური კვლევით ირკვევა, რომ ქართული ცხოვრების წესის ჩამომშლელი, „სოფლის დაცლის ხელშეწყობილი პროცესი“ არც თუ ახლო წარსულში, დაახლოებით მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედიდან დაიწყო და დღესაც (მიზეზები: ადამიანის საჭიროებასთან შეუსაბამო სოციალური პირობების არარსებობა; თანამედროვე ტექნოლოგიების შრომის პროცესში ინტეგრირების სხვადასხვა მიზეზით განპირობებული შესაძლებლობების ნაკლებობა; შემოსავლის, დოვლათის მომცემი საქმიანობით მიღებული სარგებლის მიღების ინტენსივობისა და მოცულობის სიმცირე და ა.შ.) გრძელდება.

გასული, აღნიშნული პერიოდის მსგავსად აწმყოშიც მიმდინარეობს სოფლის მასიური დაცლის, ტრადიციული მეურნეობის მოშლის პროცესი.

ქართული ტრადიციული სამეურნეო ცხოვრების ამსახველი და მისი ჩამოშლის მიზეზების შემსწავლელი მასალების მოძიება, არაერთი წლის განმავლობაში ხდებოდა ისტორიული საქართველოს სხვადასხვა მხარეში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ძირითადად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა ეთნოგრაფიული ექსპედიციების მიმდინარეობისას.

ძირითადი ნაწილი

იკვეთება ქვეყნის ამა, თუ იმ რეგიონის წარმომადგენლების ეკონომიკური თვალთახედვების მსგავსება ფიზიოკრატიულ

შეხედულებებთან, რომელიც ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი გამორჩეული მიმართულებაა. აღნიშნულის მიზეზად, საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანული მოძღვრების დომინირება შეიძლება განვიხილოთ. იგი ზეგავლენას ახდენდა საქართველოს მოსახლეობის არა მხოლოდ რწმენით, იდეოლოგიურ, ცნობიერებით და მსოფლმხედველობით საფუძვლებზე, არამედ მათი ეკონომიკური აზროვნების სტილზეც. ამასთან, საკუთარი ინდივიდუალურობის არდაკარგვის პირობებში, ეკონომიკური შედეგების მისაღწევად, ქართველი, ყოველთვის ანიჭებდა უპირატესობას ერთობლივ ქმედებებს, პასუხისმგებლობის გაზიარებას,

1. ზემოაღნიშნული არაერთი კვლევით არის დადასტურებული. ამ მხრივ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის კვლევები, დაკავშირებული შოთა რუსთაველისა და სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკურ შეხედულებებთან. ეს უკანასკნელი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ „ამ შრომაში დასაბუთებულია იმ დროისათვის პროგრესული დებულება სულხან-საბა ორბელიანისა, რომლითაც იგი 70 წლით წინ უსწრებს ფიზიოკრატიული მიმართულების მამამთავარს – ფრანსუა კენეს. შედეგად, პოლიტიკური ეკონომიის ენციკლოპედიის რედაქციამ ენციკლოპედიაში შეიტანა სულხან-საბა ორბელიანი, როგორც ფიზიოკრატიული სკოლის წინამორბედი თავისი ეკონომიკური შეხედულებებით“ (ხელაია, 2007).

აღნიშნულით იმის თქმას ვცდილობთ, რომ ჩვენი კვლევა დავაფუძნეთ, ერთი მხრივ, იმ ეთნოგრაფიულ მასალებს (მასალების თავმოყრა შესაძლებელი გახდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ეთნოგრაფიული და ჩვენი ინდივიდუალური ექსპედიციების ფარ-

გლებში - ხაზი ჩვენია) და, მეორე მხრივ, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და შესაბამისი გამოკვლევების შედეგების ანალიზს.

ამრიგად, ეთნოეკონომიკის თვალსაზრისით საინტერესო ეთნოგრაფიული მასალების კომპლექსური კვლევით დასტურდება უდავო და საყოველთაო ჭეშმარიტება, რომ „სარფიანი ცხოვრების მომცემი შრომაა“. ირკვევა უკვე თითქმის აღარ არსებული ცოდნის შესახებ, რომ საზრდო მიწის დამუშავებით, სამეურნეო საქმიანობის უკეთ სწავლის მიზნით, მუყაითობით, მეზობელ-მოკეთისთვის გვერდით დგომის სურვილით უზრუნველყოფ შენ შედარებით კეთილდღეობას.

ეთნოგრაფიული მასალები:

„ქონი რომ მოგედო, გქონოდა, უნდა გემრომა იქ, სადაც გამლევედა შენი საცხოვრისისი გარემო, სოფლის მეურნეობაში, თუ შინამრეწველობაში“ (იგულისხმება „შინამეურნეობა“) (მთხრობელი, გ. არუთინოვი. თელავი. 2014).

„ცდილობდნენ სინდისიანი საშუალება შრომით მიეღოთ შედეგად უკეთესი ყოფა, რომ ეფექტით წელგამართულებს გაენაწილებინათ საკუთარ ოჯახსა და მტერმოყვარეზე. ამ ყველაფერს წინაპარი ყოფითობის დაგეგმილ მოწესრიგებას არქმევდა“ (მთხრობელი, გ. კომლაძე. სავანე. 2004).

ეკონომიკური და ფინანსური საფუძვლების შემქმნელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებული ჩვენეული მასალებით ირკვევა „ხალხის ცხოვრების პოლიტიკის“ მიზანი, მაქსიმალურად მოესპოთ „არავისთვის სასურველ-მისაღები უსახსრობა“. ამ გაზაზე, ერთმანეთის გვერდით დგომით შრომით, განმტკიცებული კავშირებით უზრუნველყოფდნენ ეკონომიკურ და სოციალურ დაცვას, სხვათა უფრო „სარფიანად ცხოვრების საშუალებას“;

ირკვევა, რომ ერთმანეთის გვერდით დგომა და ამით შემოსავალისა და მოგების უზრუნველყოფა „სურვილიანი წესი იყო“ (მთხრობელი, ლ. ბურჯალიანი. ლეჩხუმი. ორბელი. 2000).

ცნობილია რუსობის პერიოდის პოლიტიკის, საბჭოთა კავშირში განხორციელებული აგრარულ რეფორმის შესახებ. წვრილ გლეხურ მეურნეობათა მსხვილ სოციალისტურ მეურნეობებად(კოლმეურნეობა) გარდაქმნის გზაზე ხელისუფლებამ, უხეში და ძალადობრივი მეთოდებით, გლეხობას წაართვა ადგილ-მამულები, მიწა, პირუტყვი. შედეგად, მივიღეთ „რა იცი კიდევ რა დრო დადგება, რომ უარესი არ იქნება“-ს შიში, გააქტიურდა უკეთესის პირობებისთვის სოფლიდან ქალაქს თავშეფარების ტენდენცია. შესაბამისად, „ხალხი მოეშვა და ატოვებდა, დღესაც ატოვებს“ მევენახეობას, მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას.

ეთნოგრაფიული მასალები:

ლენჯერის თემის სოფელ ქაშვეთის მკვიდრი ვახტანგ ფილფანის გადმოცემით, მისი სამმოს „დუღაშერების“ წევრ ფიფი ფილფანს და მის მეუღლე მაგრაფინეს მოჰყავდათ იმდენი ხორბალი, რომ ახალ მოწეულ მოსავალს ახვედრებდნენ სავსედ ხის „კიდობნებს“. მთხრობელის თქმით, სავარაუდოდ ეკონომიურადაც ხარჯავდნენ, მაგრამ რაოდენობას მაინც სათესი მიწის ოდენობა განაპირობებდა. ქაშვეთის მკვიდრი, ისლამ ფილფანის მშობლებსაც მართა გულედანს და მაქსიმე ფილფანსაც იგივე „მეთოდი“ ჰქონიათ. „რა იცი რა დრო დადგება“-ს შიშით არ ანებებდნენო ბებია და ბაბუა ბევრი ახალი ფქვილის ხარჯვას თანამედროვეთ ოჯახში. მოგვიანებით, მაგრამ მაინც ახდა ბებიას შიში. 1990-იანი წლების სიღუბლეში, სამოქალაქო ომში ჩათრეულ ქვეყანაში ყველანაირი გაჭირვების ჟამს

მოჰყავდა ჩვენც მოგვყავდა პური, „დედუ-ლების“ ნათესავისგან, თამაზ გულედანისგან გადანახული ხორბლის თესლით. მერე ხორბლის მოწევაც, მოსაწვი იარაღებიც და „კალოც“ ჩაბარდა ისტორიას. კოლმეურნეობა რომ იყო, მაშინ დიდ კალოს ვაკეთებდით და მეტი იყრებოდა. სახლის კალოში თუკი ორ მარხილს ვყრიდით, იქ ათ მარხილსაც ვყრიდით და მეტსაც. მაშინ ხუთეჭვს უღელს მივაყენებდით, ხარებს და ბრუნავდნენ. უკვე, ისინი ტრიალებდნენ კალოში, კიდევაც ადრე ილუწებოდა და ადრე ნიავედებოდა“ (ლენჯერი. ვ. ფილფანი. 2015).

„კოლაფსი შეიძლება დადგეს ნებისმიერი შენგან გაუთვლელი ქმედებით. უნდა გახსოვდეს, რომ ფულის შოვნას შრომა უნდა. მთავარია გახსოვდეს, რომ ქართველი სულ მუდამ სოფლის მეურნეობით ცხოვრობდა, სხვასაც აცხოვრებდა ნებით, შემთხვევით, თუ იძულებით შემოხეტებულს თავის მიწით. უნდა გახსოვდეს, რომ სხვათა მეგობართა, თუნდაც ვითომ მეგობართა პოლიტიკის ბოლომდე მიწოდებაც იგივეს, ყოფის დასრულებას, ქვეყნის დაცლას მოგიტანს. აგერ ჩვენ ტყეებს, მიწას ჩინელები დაედვენ“ (მთხრობელი, ა. მჭავანაძე. ვანი, სოფ. ბზვანი. 2014).

მსგავსი პროცესი მიმდინარეობდა ყველგან: მამათელი მთხრობელი სილიბისტრო როყვას თქმით, ღარიბი ოჯახი ჰქონდათ, თუმცა არ შიმშილობდნენ. ამისთვის შრომობდნენ. საჭირო რაც იყო ჰქონდათ „ტანი მთელი, მუშა ოჯახი და წესიერი“. ეკონომიკური მდგომარეობა შეიმჩნეოდა იმაშიც, რომ უცხო სტუმრისათვის ღომის ჩალა ჰქონდათ „მისასვენებლად“, შინაურისთვის კი სიმინდის ჩალა (ნიკოლაიშვილი, 2019:99).

XX საუკუნის 50 წლებში ბაღდათის სოფელ ზეგანიდან შედარებით ვაკეში ჩამო-

სახლებული სანდრო გორგოძეს ჩამოსახლების მიზეზად ჰქონია ის, რომ „განათლებულ სოფელში“ უნდოდათ ეცხოვრათ, „ცოლ-შვილს კარგად ეცხოვრა“. ამ „კარგად ცხოვრების“ მამიებელი მთხრობელი ადარებს ზეგანის მეურნეობის და ცხოვრების პირობებს ახალი საცხოვრისისას და მოსწონს ახალი: „რგვალი კრამიტის და ყავრის“ სახურავი ჩანაცვლებულია „იფერით“ ან „მარსელის კრამიტით“. „ჩოჩიალა ურმების ნაცვლად ახლა ყველა ოჯახში მანქანაა მიყენებული“. „კოდების წისქვილები“ „დოლაბის წისქვილებმა“ ჩაანაცვლა (ცაგარეიშვილი, 2019: 27-28).

XIX-XX სუკუნეების მიჯნის სინამდვილეს ასახავს გვიმრალაურის მკვიდრი ოლია ჩხაიძის „საჩივარიც“: „გეიკრიფა ყოლკაცი. ახალგაზდებს აღარ უნდებიენ აქოურობა“ არა, თუ მუშაობა „ფეხი ფეხზე გადადობილა არ უნდა აქანა ყოფნა. აფერს არც აკეთებენ, არც ეინტერესებათ, არც უნდებიენ (ნიკოლაიშვილი, 2019:134).

მდრ.: ჯერ კიდევ 1964-1965 წლის იმერეთის, ბაღდათის სოფლებში ჩატარებული კვლევის საფუძველზე პროფესორი ჯულიეტა რუხაძეც წერდა, რომ მთიანი სოფლებიდან ბარის სოფლებში ჩამოსახლების ხელის შემწყობად მიაჩნია გზის გასწვრივ ჩამოსახლება, მაიკაოვსკსა და ქუთაისის შორის მიმოსასვლელზე ცხოვრება (ცაგარეიშვილი, 2019:215-261).

ფინანსური ანაზღაურების მოტივაციის საშუალებად გამოყენებით, გაუქმდა ადგილობრივი, სათემო მმართველობა და გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა რეჟიმის ინტერესის გამტარებელმა ორგანოებმა. აღნიშნულს ადასტურებს ფულის მომარჯვებით, „საშუალება-ხერხის, ხრიკის მცოდნე“ მამასახლისების, მდივანბეგების, „ათასი ჯურის ჩინოვნიკების“ დანიშვნა. „ურთიერთობების გაკანტორებამ“ სულიერ ერთობას

ჩანაცვლა „მხოლოდ ჩემი იყოს“ მიდგომა (მთხრობელი, კლ. ცინდელიანი. ნაკრა. 2016). ჩანაცვლა „მახვები“, რომლებიც სხვებთან დათათბირების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით, უანგარო ერთგულებით ემსახურებოდნენ თემს. „რუსების, რუს-კომუნისტების და კომუნისტი ქართველების, გაყიდულები მუდამ იყვნენ, შემოსეულმა და პირადულსანაცვლოზე გაცვლილმა აქტიურმა მხარდაჭერამ მოსპო მახვების მმართველობა (მთხრობელი, გ. გიგანი. ზესხო. 2011).

ჩვენი მოსაზრება: ცნობილია, რომ შეფასებითი კატეგორია ფული, თავის სახმარი ღირებულებითა და იშვიათი ხასიათით, უზრუნველყოფს ეკონომიკურ ურთიერთობათა სტაბილურობას. უნდა ვიფიქროთ, რომ კომუნისტური ხელისუფლების მიერ, ფინანსური ანაზღაურება გამოყენებული იქნა მოტივაციის საშუალებად. თქმა იმისა, რომ მიღებული, ფული იმდენი იყო, ადამიანს საკუთარ ტრადიციულზე უარი ეთქვა, შეცდომა იქნება. თუმცა ფაქტია, რომ ადგილობრივი, სათემო მმართველობის ნაცვლად გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა რეჟიმის ინტერესის გამტარებელმა ორგანოებმა. ანუ, „იშვიათი მნიშვნელობა-ფუნქციის“, სახმარი ღირებულების შეფასებითი კატეგორია ფული, მაინც გახდა მოტივატორი. სახეზეა დემოტივაციაც. ადამიანთა დიდ ნაწილს არ სურდა „გამართული, სისხლხორციელი“ მმართველობის გაუქმება. მნიშვნელოვანია, რომ ეს ნაწილიც არ იყო „ამ ხელოვნურად გაჩენილი შემოსავლის გარეშე“. **შდრ.:** მკვლევრების ინტერესი დღემდე მაღალია ფულის, დემოტივაციურ ხასიათზე. მეცნიერთა ნაწილი ემხრობა იმას, რომ ფული უფრო დემოტივატორია და ნეგატიური გავლენა აქვს ადამიანის ჩართულობაზე (კოპალიანი და სხვ., 2021).

საყოფაცხოვრებო, ტრადიციული ნივთების (მაგ, „მახვების სკამი“) დამზადების საქმე ერთ-ერთი შემოსავლის წყარო იყო. თუმცა ბევრ შემთხვევაში, ზოგ ნივთზე გადაწყვეტი იყო უსასყიდლოა:

ეთნოგრაფიული მასალები:

„დღეს სკამის დამზადება შეიძლება ძვირი კი არაა, მაგალითად ასი დოლარი, მაგრამ ამ მცირეს არქონებაცაა და ვერ გამოზადებინებენ. სასაჩუქრედ დიდებულია, თუმცა მასალა ჭირს. ნამდვის მასალა ნაკლები ღირს. თელა ძალიან ძვირი ღირს“ (მთხრობელი, ზ. ჭკადუა, ლახამულა. 2017).

„მე ჩემ სოფელში ყველა გარდაცვლისთვის ვამზადებდი „სასახლეს“ უფასოდ. ვიღაც ფულს ღებულობს. გაწეული მუშაობის საზღაური უნდა აიღო, მაგრამ სხვა რაღაცებიც მესმის ხის ხელობა და იქ ვღებულობ. იქაც არავის ვწვავ. რაც არ აქვს ადამიანს, იმას, რომ მოთხოვ, ღმერთი რას გიზამს? თუ შენსაზე დადექი და არ მიხვდი კაცის საჭიროებას და „ხელშეწყეულობას“ უსახელოც და საერთოდ უშემოსავლოც დარჩები. სახელიანს ვიღაცა მოგიხედავს, უსახელოს და უშემოსავლოს გაუჭირდება (მთხრობელი, კ. გოგოლაშვილი. ოკრიბა, კურსები. 1998წ).

აღნიშნული მასალები მიგვანიშნებენ აქტივობაზე, როცა ფასდება ნედლეული, გასაყიდად ითვალისწინება შენი შრომის პროდუქტი. ანუ საზღაური მიწოდებული საქონლის (სამუშაოს) გაწეული მომსახურების სანაცვლოდ გადაცემული ფულადი ან ნივთობრივი ანაზღაურებაა (გურგენიძე, 2004)

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ქართველის ცხოვრების წესი ქრისტიანულის სადარი იყო. ბუნება, რომელსაც „სხვათა უანგარიშოდ გვერდით დგომის ჰქვიოდა“ სხვა არაფერია, თუ არა ქრისტეს აღმსარებლობის მიმდევარობა. თუმცა მოხდა ის,

რომ „სულის და პატიოსნების გაყიდვაზე გათვლილი ნაწილი ფულმა გააყოფო, „მაღალი“ გახდა, გააამპარტავანა. მივიღეთ მდგომარეობა, როცა გაგვიაქტიურდა მხოლოდ საკუთარის უპირატესობა, მიივიწყა სიკეთე და ქველმოქმედების ბედნიერება. „მიჩეჩებულმა“ და ადამიანისგან მიღებულმა, საკუთარის ზედმეტად დამფასებლობის გზამ მარტო დატოვა ადამიანი პრობლემებთან“ (მთხრობელი, ნ. დოგრაშვილი. ბაღდათი. ზეგანი. 1995).

ირკვევა, რომ ხელფასის, ეკონომიკური და სხვადასხვა, ფინანსური სარგებლის მომტანი, ანაზღაურებადი სამუშაოს გარეშე დღეს უკვე ცხოვრება წარმოუდგენელია; ადამიანთა დიდ ნაწილში დაიკარგა თანაგრძნობის და გვერდით დგომის უნარები, გახდა „მოწყალეების“ შემყურე და ამ „დახმარების მიღების საფუძველზე მორჩილი“.

ეთნოგრაფიული მასალა:

„დღეს ყველას ყველაფერი მზა უნდათ. იმოვნება. საყიდელი ფული არ იმოვება, მაგრამ ფულისთვის მუშაობა ურჩევნიათ, ვიდრე მაგალითად სოფელში. არ უნდათ სოფელში მოწვენილის რეალიზებით მიღებული შემოსავალი, ურჩევნიათ საზღაურად მიღებული ფული. შეიძლება მართალიცაა, მაგრამ სოფელი, ქვეყანას რა ეშველება შენგან უპატრონოს, სხვის ხელში? გაღებულია კარები რომ გახვიდე. იცლება ქვეყანა და ტრადიცია ივიწყება. გამოგზავნილი ფული ქვეყნის ფიზიკურ-სულიერი სიმაგრე, ვერც მატერიალური ვერაა. ვერაა, რადგან როცა არ ქმნი, გამოგზავნილი იღევა. რა ვიცი, ორი მხარე აქვს ყველაფერს“ (მთხრობელი, ხ. ღურჭუმალიძე. ლეჩხუმი, ნასპერი. 2015).

სადავო არაა, რომ აწმყოს საქართველოში მთავარი პრობლემა ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. თუმცა ვეჭვობთ, რომ მეურნეობის გარეშე, უცხოე-

თიდან გამოგზავნილის, სხვათაგან დახმარების საფუძველზე შექმნილი უკეთესი ყოფა არ ნიშნავს ეკონომიკური დემოკრატიის გზაზე დგომას.

ცნობილია, რომ საქართველოს მთაში დღემდეა შემორჩენილი საეკლესიო და სახატო მიწები, რომ სვანური თემი მჭიდროდაა დაკავშირებული თავის ტერიტორიაზე მდებარე, ტრადიციული სამეურნეო ყოფის, სულიერი სფეროს მაკოორდინირებელ და მაკონსოლიდირებელ ცენტრ ეკლესიასთან“ (გუჯეჯიანი, 2008:369).

მცირემიწიან მთაში სარიტუალო მარცვლეულის მოსაყვან მიწებთან ერთად თითქმის აღარ რჩებოდა ვარგისი მიწა. ამის მიუხედავად, სალოცავის მიწაზე რომ რამეს არ გაემართლებინა, „ბეგარას საკუთარი სახლობისთვის მონაწევს“ მართმევენ. აღნიშნულით „რწმენა ნარჩუნდებოდა. ურწმენობა კი უწესობა და უკეთურებაა. დღესაც თითქოს ვინახავთ, მაგრამ დაცლილ სოფელში რას შეინახავ? (მთხრობელი, ვ. ცინდელიანი, ნაკრა. 2017).

თემის ამ „წესრიგის“ ჩანაცვლება, „გული არ გაიტეხოთ და მსგავსი, თუმცა შენი შესაძლებლობის გაუთვლელი“, „ნატურით“ ზღვევის სახელმწიფო კანონმდებელთაგან შემოღებული წესი გვაგონებს კანონისმიერ ვალდებულებითი-სამართლებრივი ურთიერთობის წყაროს. ანუ, ერთი პირი უფლებამოსილებით ითხოვს მეორე პირისგან ზიანის ანაზღაურებას.

ეთნოგრაფიული მასალა:

„მთავრობის სამართლით განსაზღვრული შეუსაბამო თანხით („ნატური“) ზღვევის შესახებ გეტყვიან არა მხოლოდ აქ ხევში, ფშავსა და სვანეთში, ხევსურეთში, ყველგან საქართველოში. ფასს, ნატურ გადასახდს, საზღაურის შესახებ გადაწყვეტდა სამართალი და გადაიხდიდი საქონლით და ა.შ. ფულითაც. ეს გადასახადი იოლი არ

იყო, მაგრამ არც ისეთი, რომ მოესპე. თემი ისე იზამდა, რომ შენ შეცდომაც გაგრძობინებდა და არ გადაგაყოლებდა. მერე შეცვალეს ახლებმა. გრძელდება ასე“ (მთხრობელი, ჟ. ხაიკაშვილი. ყაზბეგი. აგვისტო, 1993).

ყველგან საქართველოში, შემორჩენილი სხვადასხვა დროს შესასრულებელი საკულტო-მითოლოგიური წეს-რიტუალები, შესრულების ტრადიციები, სასოფლო, სალოცავები, დღემდე ასრულებენ ღვთაებისათვის ნაყოფიერების სათხოვნელ, ოჯახის შვილიანობისა და ახალი სულის შემოსვლის/„ბედნიერობის“ რიტუალებს. დაწესებული იყო და გარკვეულ დღეებში იცავდნენ კიდევ აკრძალვებს. სამეგრელოში „თუთაშხა ორშაბათი“ შენი ოჯახისთვის და პირადისთვის კარგი დღეა, მაგრამ არ დაიწყებდნენ იმ საქმის კეთებას, „რაც რადის ოჯახიდან გარეთ გატანას მოითხოვდა, თუ პირიქით, უნდა ყოფილიყო კი“. ყვებიან და ამბობენ, რომ გაჭირვების საჭიროებამ მოგვარებია ორშაბათის, ოთხშაბათის და პარასკევის ნაკიან, ეშმაკის დღეებად მოხსენიება. საქართველოში ყველგან სწამდათ ავი თვალისა და ავი ფეხისა. საქმეზე მიმავალ ადამიანს აუცილებლად „კარგ ფეხს“ დაახვედრებდნენ, „რომ გაემარჯვა“.

მსგავსი რიტუალები და დღესასწაულები, საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულში, მომავალი თაობების მრავლობასა და ოჯახის ფუძე-კერას სავსეობას ემსახურებოდა.

ეთნოგრაფიული მასალა ოკრიბიდან:

„რწმენა იყო მატერიალური კეთილდღეობის წყაროც. ჭირნახულის უხვად მოყვანის უზრუნველსაყოფად, დასაცავად ხალხი სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდა, რწმენით თავს გადაირჩენდა“ (მთხრობელი არიადნა ფორჩხიძე-გაბადაძე, ორპი-

რი, 1993წ).

ეთნოგრაფიული მასალა რაჭიდან: „სჯულში რწმენა იგულისხმება, ჩვეულებაში კი თემში მიღებული წესის, ნორმის დაცვა. ორივეთი ერთად თავს გაიტანდი, გადაირჩენდი“ (მთხრობელები: დ. ჭოხონელიძე, რაჭა, სოფ. თხმორი, 1994.). იგივეს გეტყვიან ყველგან საქართველოში.

აღნიშნულს ეხმაურება ბალს ზემო სვანეთში დადასტურებული ტერმინები: „ნამახი“, „ცუდი მეორშაბათე“, „გაშვება“ და „სიმშვიდე“.

ნამახი დამახული ძაფია მთიულურში (ღლონტი, 1974:416). დამახებას, „ცუდის მომტან დანამახებს“ აღნიშნავს სვანურ მეტყველებაში. „გიორგობა დღეს ცუდად მიგვაჩნია ვინმეს დამახება. საქონელს რომ ნაკლებობა არ ექნეს მურიანი წყლით გაწუწავენ“ (ეკ. ფილფანი, ლენჯერი. 1995; ლ. ზურაბიანი. 2013 წელი. ლენტეხი. ჟახუნდერი).

„ცუდი მეორშაბათე“ - „ცუდი თვალის და ფეხის“ ადამიანს, „გაშვება“ „გაცემას“ აღნიშნავს, „სიმშვიდე“, კი კარგად და მრავლად ყოფნის მნიშვნელობით გამოიყენება სვანურში. ორშაბათი, ხუთშაბათი და შაბათიც სვანებს „საციქველის“ გაცემისათვის ცუდ დღედ მიაჩნიათ, მით უფრო ახალ მთვარეზე. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს რძის ნაწარმის კარში „გაშვებას“/„გაცემასაც“ არავინ „ჩაიდენდა“. შაბათს და ხუთშაბათს და ორშაბათს კარში არავის არ გაუგზავნიდნენ მარცვალს და ფქვილს“.

ვფიქრობთ, ათეიზმის ხანაში და დღევანდელი გლობალიზაციის ეპოქის ერთი და იგივე მეთოდების გამოყენებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ბევრი ადამიანი დარწმუნდა საკუთარ ყოვლისშემძლეობაში. დავით ჩახვაშვილი, ქვეცნობიერში არსებულ რწმენას, თავისებურ დაზღვევას ეძახის და დასძენს, რომ, სადღაც ადამიანი

ფიქრობდა: „იქნებ მართლაც რაღაც არსებობს?“ (ჩახვაშვილი, 2001).

ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ ეს ე.წ. „დაზღვევა“ ადამიანისგან საკუთარი ტრადიციის მივიწყება, გაუკეთესებული ეკონომიკური მდგომარეობისთვის ყოვლისშემძლეობის დარქმევას.

დასკვნა

სახელმწიფოს მიერ სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების აღებამდე, თემი თავად იყო პასუხისმგებელი მისი წევრების უკეთეს ყოფაზე, რათა „წელგამართლებს“ „სარგებელი“ გაენაწილებინათ საკუთარი ოჯახისა და მტერ-მოყვარის საჭიროებისთვის. შეიძლება, ერთი შეხედვით ვიფიქროთ, რომ ე.წ. „კოლექტიური პასუხისმგებლობის“ პირობებში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის არეალი იკარგება და შედეგად ვიღებთ „მასობრივ უპასუხიმგებლობას“. თუმცა, თემის შემთხვევაში, ეს უნდა აღვიქვათ, როგორც „ხამს მოყვარე მოყვრისათვის“ პრინციპის რეალიზება და ერთმანეთის მიმართ ზრუნვის გამოხატულება.

ზემოთქმულს შეიძლება დავამატოთ თანამედროვე ფინანსური ურთიერთობის - „დაზღვევის“ მაშინდელი გაგების საკითხიც, როდესაც თემის წევრი მზად იყო გაეზიარებინა „მოყვასის“ ცხოვრებასთან დაკავშირებული რისკები, თანაც, ყოველგვარი სარგებლის გარეშე. ეს იმიტომ, რომ პირადად მისი და მისი ოჯახის კეთილდღეობას, ასევე, „დაზღვეული“ იყო თემის სხვა წევრების მხრიდან. აღნიშნულის მაგალითებად შეიძლება გავიხსენოთ, ე.წ. „ნადი“; მესაფლავეობა მორიგეობით; სოფლის ნახირის მწყემსვა მორიგეობით; ე.წ. „სადილის“ მიტანა ოჯახში, რომლის წევრიც გარდაიცვალა, ასევე მორიგეობით და ა.შ.

შედეგად, ამ ყველაფერს, „რწმენით და გათვლილ-გახედილი შრომით“ მიღებულ

„შედარებით უკეთეს ყოფას“ შეიძლება ვუწოდოთ „თემის ეკონომიკა“. მართალია, იგი ზოგად-ეკონომიკური კანონების მოქმედებას ექვემდებარებოდა, მაგრამ მასში გამოკვეთილი იყო ადგილობრივი საზოგადოების მორალური და სოციალური ყოფითი თავისებურებები, რომელთა ფორმირებაში გადამწყვეტ როლს რელიგია და ისტორიულად ფორმირებული ტრადიციები ასრულებდა. სწორედ ამ ვითარების აღსაწერად გამოვიყენეთ ტერმინი „ეთნო-ეკონომიკა“.

ლიტერატურა:

1. გურგენიძე ვ., (2023) მოხელის სამაგიდო ლექსიკონი. თბ., 2004. - 483 გვ.
2. გუჯაჯიანი რ., (2008). ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან (სვანეთი), თბ., „უნივერსალი“.
3. კოპალიანი კ., ჩომახიძე ელ., ზუბაშვილი ა. (2021) ფულის ფსიქოლოგიური არსი. ბიზნესი და კანონმდებლობა, N2. URL: <https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/726> (დადასტურება 6.10.2023).
4. ნიკოლაიშვილი ელ., (2019) მოთხრობები გურიის ახლო წარსულიდან. დიალექტური ტექსტების კრებული.
5. ქართულ კილოთქმათა სიტყვის კონა (ქკოსკ). შემდგენელი ალ. ღლონტი, თბ., 1974
6. ცაგარეიშვილი თ., (2019). ცოცხალი ისტორიები. ჯულიეტა რუხაძის ეთნოგრაფიული ჩანაწერები.
7. ხელაია გ. (2007) გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ვასილ ჩანტლაძე. საქართველოს ეკონომიკა, N1. URL: <https://geoeconomics.ge/?p=2627> (დადასტურება 6. 10. 2023).
8. ჩახვაშვილი დ., (2001) XX საუკუნე და „ოპიუმი ხალხისათვის“. საქართველოს ეკონომიკა, N5. <https://geoeconomics.ge/?p=421> (დადასტურება 6. 10. 2023).
9. ზუბაშვილი ა., (2021). ფულის ფსიქოლოგიური არსი. ბიზნესი და კანონმდებლობა. URL: <https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/726> (დადასტურება 6. 10. 2023).

SOME ISSUES OF ETHNO-ECONOMICS

David Shavianidze

Associate Professor of Akaki Tsereteli State University and Kutaisi University.
davit.shavianidze@unik.edu.ge

George Gvartadze

Doctor of Economics, Professor of Akaki Tsereteli State University
george.gvartadze@atsu.edu.ge

KEY WORDS: *ethno-economics; community governance; obligation-legal relations; economic existence.*

J.E.L. classification: N9, R0

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.03>

For citation: Shavianidze D., Gvartadze G., (2023) Some issues of ethno-economics (in Georgian). Economic Profile, Vol. 18, 2(26), p. 85-94.
DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.03>

Summary

In the paper, based on a complex analysis of ethnographic materials, interesting issues of ethno-economics are discussed. In particular:

The reasons for the beginning of the process of emptying rural settlements, which is still ongoing, but originates from the last quarter of the 19th century; the consequences of rejecting the willing rule of standing next to each other in labor-activity; Integrating modern means of ennobling personal economic and social status ("living affordably") into everyday life.

The following are the reasons for the emptying of the countryside and the abolition of traditional farming:

1. neglecting traditional, time-tested approaches to "people's life", farm management;
2. Abolition of traditional local community governance, for example, replacement of the "Makhvshi" institution with "trickster-savvy, salaried" administrators;
3. The gradual replacement of unity, work for each other with the approach "to be mine". We mean that on the way to economic security, the "rule of unselfishness help" was forgotten.
4. "legally recognized" binding relationships that did not take into account human capacity. Replacing the faith-boosting "begar" with "an inappropriate natural tax imposed on you by law";
5. Forgetting the habit of asking God for "provided happiness".

It is revealed that before the government launched various economic programs to raise social welfare, the individual and the community themselves were oriented to get a better life and distribute the "benefit" to their family and external needs.

On the basis of complex research, the historical meaning of the terms: "Scream", "Bad Monday",

"Letting go" and "Peace", "Begara" is revealed; Also, the name of a better economic condition obtained by "faithful and calculated work" - "comparatively better being".

It is worth noting the fact that ethnographic materials once again confirmed the opinions of Georgian economists that physiocratic views were always predominant for the Georgian space, until the consciousness of our population was formed on the basis of national-Georgian morality. This was reflected not only in various types of legislation, but also in literature. Only "The knight in the panther skin" and "Wisdom of Lies" are enough to prove this.

However, after the disruption of the Georgian statehood by Tsarist Russia and, later, the Sovietization, the thinking of the citizens of Georgia changed and adapted to the new reality, which should be perceived as an adequate response to the change in environmental conditions. However, historical experience shows that this process had a negative impact on the current situation and future prospects of our country.

Before the state took over social and economic functions, the community itself was responsible for the well-being of its members. We may think that in the conditions of the so-called "collective responsibility", the area of individual responsibility is lost, however, in the case of the community, it was the concern for the well-being of another; by being willing to share the risks associated with the life of a "neighbor" without benefit, a community member insured himself and his family's well-being.

As a result, all this, "relatively better living" obtained by "faith and committed work" can be called the "community's economy". Although it was subject to general economic laws, but the moral and social characteristics of local society were highlighted in it, in the formation of which a decisive role was played by

religion and historically formed traditions.

The ethno-economy is what we used to describe this situation.

References:

1. Gurgenidze V., (2023) Official's desk dictionary. Tb., 2004. - 483 p.
2. Gujejiani R., (2008).). From the history of Georgian highlanders' mentality (Svaneti), Tb, UMIVERSALI publishers.
3. Kopaliani K., Chomakhidze El., Zubashvili A. (2021) Psychological essence of money. Business and Law, Issue 2. URL: <https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/726> (confirmation 6.10.2023).
4. Nikolaishvili El., (2019) Stories from the recent past of Guria. A collection of dialect texts.
5. A bundle of the Georgian idioms. Collector - Ghlonti, Tb, 19-74
6. Tsagareishvili T., (2019). Live stories. Ethnographic records of Julieta Rukhadze.
7. Khelaia G. (2007) Outstanding Georgian scientist Vasil Chantladze. Economy of Georgia, Issue 1. URL: <https://geoeconomics.ge/?p=2627> (confirmation 6. 10. 2023).
8. Chakhvashvili D., (2001) XX century and "opium for the people". Economy of Georgia, Issue 5. <https://geoeconomics.ge/?p=421> (confirmation 6. 10. 2023).
9. Zubashvili A., (2021). The psychological essence of money. Business and legislation. URL: <https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/726> (confirmation 6. 10. 2023).

წლის საუკეთესო ნაშრომი აგრარულ სფეროში

*(რეგენზია რევაზ ასათიანისა და პაატა კოლუაშვილის მონოგრაფიაზე
„საქართველოს სოფლის მეურნეობა - გამოწვევები და პერსპექტივები“ -
თბილისი, 2023, 154 გვ.)*

სოფლის მეურნეობა, მიწა არა მარტო წარმოების საშუალება, არამედ ქართველი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნების, მისი მდგრადობის გამოხატულების უმნიშვნელოვანესი პირობა და სასიცოცხლო სივრცეა. ყოველივე ეს ყველაზე კარგად უწყიან ქართული აგრარული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა ბატონებმა რევაზ ასათიანმა და პაატა კოლუაშვილმა და ბუნებრივია, რომ მათი ამგვარი დამოკიდებულება ძალუმად იგრძნობა მონოგრაფიის პირველიდან ბოლო გვერდამდე.

ნაშრომის არსი, ლეიტმოტივი უკვე მის სათაურიდანვე ჩანს - ის გვეუბნება, რომ ამ სფეროში ყველაფერი რიგზე არაა და დარგი სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. მაგრამ სათაური ასევე აგრძნობინებს მკითხველს, რომ ეროვნული ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანეს დარგს აქვს პრობლემების დაძლევის და განვითარების შანსი და რესურსი.

გლობალური მასშტაბით მოსახლეობის მატების ტემპი უსწრებს მსოფლიოში აგრარული პროდუქციის წარმოების ზრდას, ხოლო ამ უკანასკნელის მატება საგრძნობლად ჩამორჩება გლობალური ეკონომიკის ზრდას. აღნიშნული განაპირობებს იმას, რომ არსებითად იზრდება მოთხოვნა სურსათზე და მის ძირითად მატერიალურ საფუძველზე - სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, რის გამოც მწვავედება კონკურენცია სურსათის მოძმარებელთა შორის გლობალურ ბაზრებზე სურსათზე ფასების ზრდის ნეგატიური შედეგით.

ასეთ პირობებში საქართველოს სტრატეგია უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი ზრდა, შრომის მწარმოებლურობის ამაღლება აგრარულ სექტორში, აღნიშნული კომპონენტით საგარეო სავაჭრო ბალანსის მკვეთრი გაუმჯობესება და როგორც შედეგი, საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის თავისებური სტიგმის - „ეროვნული ეკონომიკის ყველაზე სუსტი რგოლის“ დაძლევა. ავტორებს გააზრებული აქვთ, თუ რა გზით, როგორ და რა რესურსებითაა შესაძლებელი, რა დროშია მიღწევადი ამგვარი სტიგმის დაძლევა და აგრარული სექტორის საქართველოს ეკონომიკის ძლიერ რგოლად გადაქცევა.

მონოგრაფიის ავტორები აგრარული სექტორის განვითარებას არ უკავშირებენ მხოლოდ მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილებას და მისი კეთილდღეობის ამაღლებას. - მათი აზრით, ამგვარ ძალისხმევას აქვს კიდევ ერთი ასპექტი - ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცება. - სასურსათო უსაფრთხოებას, სურსათით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის ამაღლებას ავტორები თვლიან ეროვნული უშიშროების უმნიშვნელოვანეს კომპონენტად.

ბატონები რ. ასათიანი და პ. კოლუაშვილი მიიჩნევენ, რომ დასახული მიზნების რეალიზაცია ორ ეტაპად უნდა განხორციელდეს: პირველ ეტაპზე (2023-2026 წწ.) უნდა მოხდეს დარგის მთავარი წარმოების საშუალების და ფაქტორის - მიწების ინვენტარიზაცია, მათზე დაფუძნებული წარმოების რეაბილიტაცია-განვითარება; მეორე ეტაპზე (2027-2030 წწ.) კი განსახორციელებელია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, სოფლის მეურნეობის მაღალტექნოლოგიურ დარგად ტრანსფორმაცია და უპირატესად ინტენსიური გზით

განვითარების უზრუნველყოფა.

ავტორები დასახული ამოცანების რეალიზაციას უკავშირებენ მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა-გამოყენებისათვის საჭირო სწავლებასა და ცოდნას; ამავე დროს, ისინი დიდ როლს აკუთვნებენ სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას - როგორც ეკონომიკური მექანიზმის ფორმირების, ისე კონკრეტული პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის გზით. უაღრესად საინტერესო და საგულისხმოა ამ ასპექტით მათი ხედვა აგრარული და სასურსათო პროდუქციის წარმოების, აგრეთვე რეგიონების განვითარების კუთხით სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციის, მათ შორის ინოვაციური ტექნოლოგიებისა და უცხოური კაპიტალის მოზიდვის მხრივ.

მთლიანობაში, ნაშრომის გაცნობა იძლევა შესაძლებლობას, მკითხველი თანმიმდევრულად გაეცნოს ავტორთა მიერ დარგის განვითარებისათვის გადასაწყვეტ ამოცანებს. ამასთან, ისინი იძლევიან არა მარტო ეკონომიკის აღნიშნული სექტორის განვითარების მოდელს, არამედ გვთავაზობენ უფრო მასშტაბური ამოცანის გადაწყვეტის გზასაც - ქვეყნის არაუზრუნველყოფიერების (სოფლების) სტაბილური განვითარების უზრუნველყოფის პირობებს.

სოფლის მეურნეობის, მთლიანად აგრარული სექტორის განვითარების მაგისტრალური ხაზი, ავტორთა აზრით, გადის ამ სფეროს მოდერნიზაციაზე, თანამედროვე მოთხოვნილებების დონეზე გაყვანაზე. ამ სფეროს დაჩქარებული განვითარება და საქმიანობისა და ინვესტიციების სტიმულირების გაზრდა საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან ისეთ ღონისძიებებს, როგორებიცაა:

- ა) მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები;
- ბ) სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემა და ფერმერული მეურნეობებისათვის იაფ კრედიტზე ხელმიწვდომობა;
- გ) აგროდაზღვევა;
- დ) იაფი საწვავი;
- ე) ინოვაციური ტექნოლოგიები.

აღნიშნულის მისაღწევად ავტორები გვთავაზობენ 2030 წლამდე სამოქმედო მეგაპროექტს, რომლითაც უნდა შეიქმნას „სპეციალიზებული/აგრარული საინვესტიციო ფონდი“ სახელმწიფო და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მონაწილეობით, განხორციელდეს ქვეყნის საბანკო და საფინანსო ინსტიტუტების ორიენტაცია აგროსასურსათო სექტორის მაღალტექნოლოგიურ დარგად ტრანსფორმაციისათვის; შეღავათიანი რეჟიმების შემოღება ამ სფეროში დაფუძნებული ქართულ-უცხოური კომპანიებისათვის, სპეციალიზებული აგროინოვაციური, აგროტურისტული, აგროსასწავლო, აგროინდუსტრიული და სხვა ზონების შექმნა ქვეყნის რეგიონული მრავალფეროვნების გათვალისწინებით, მოსახლეობის/ფიზიკური პირების ქართულ-უცხოური ერთობლივი კომპანიების ფასიან ქაღალდებში, ექსპორტზე ორიენტირებული სწრაფი მოდერნიზაციის ინტერესებისა და ინვესტიციების დაცვისთვის საერთაშორისო არბიტრაჟის/დავების დამრეგულირებელი ორგანოს დაფუძნება და სხვ.

ნაშრომის ბოლოს მოტანილი მდიდარი სტატისტიკური მასალა კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ღვაწლმოსილი მეცნიერების იდეების წარმოჩენას, მათ შეხედულებებს საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული გამოწვევებისა და მათი გადაწყვეტის გზე-

ბის შესახებ.

მიგვაჩნია, რომ მონოგრაფია, მისი კომპლექსური ხასიათის, თეორიული დასკვნებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების გათვალისწინებით ქართული ეკონომიკური და აგრარული მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია. იგი დიდ სამსახურს გაუწევს არა მარტო აკადემიური სფეროს წარმომადგენლებს, არამედ ეკონომიკური, კერძოდ აგრარული პოლიტიკის შემუშავებით და რეალიზაციით დაკავებულ მკვლევარებს, ეკონომიკური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებს.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მონოგრაფია „საქართველოს სოფლის მეურნეობა - გამოწვევები და პერსპექტივები“ აღიარებულ იქნა წლის საუკეთესო ნაშრომად აგრარულ სფეროში.

იოსებ არჩვაძე, ეკონომიკის დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი
ნიკოლოზ ჩიხლაძე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი

THE BEST PAPER OF THE YEAR IN THE AGRICULTURAL FIELD

(Review of Revaz Asatiani and Paata Koguashvili's monograph "Georgian agriculture - challenges and perspectives" – Tbilisi, 2023, 154 pg.)

The monograph of the renowned experts in agrarian science - Mr. Revaz Asatiani and Paata Koguashvili - is dedicated to the most crucial field for the national economy and national security: the situation in agriculture, the problems, potential ways to overcome them, and development prospects.

The authors not only realize that Georgia's state strategy should involve a sharp increase in agricultural production, an improvement in labor productivity in the agrarian sector, a drastic enhancement in the foreign trade balance, thereby overcoming the existing stigma of Georgia's agriculture as "the weakest link of the national economy". They also present their systematic and comprehensive visions of how, with what resources, and in what manner it is possible to overcome the aforementioned stigma and turn the agrarian sector into a robust pillar of Georgia's economy.

The authors of the monograph pay special attention to the development of the agrarian sector in one of its most critical aspects - strengthening the security of the country - by increasing food security and the production of agricultural products, considering it a crucial component of national security.

Prof. R. Asatian and prof. P. Koguashvili believe that achieving the set goals will occur in two stages: the first stage (2023-2026) involves the primary means and factors of production in the field, such as land inventory and production rehabilitation and development based on them; in the second stage (2027-2030), innovative technologies need to be implemented, transforming agriculture into a high-tech sector and ensuring predominantly intensive development.

The problems faced by the agrarian sector in the monograph are presented in a comprehensive manner, figuratively speaking, "in three dimensions," illustrating the roles and functions of the entities and institutions involved in this process. It is noteworthy that they discuss the issue not only from an economic perspective but also from a philosophical aspect (one of the paper's paragraphs is titled "The role of land in Georgian consciousness"). The authors also address the relationship between land and the state, the rational use of land resources, and the challenges brought about by the modern era in their country.

The extensive statistical material helps the authors of the monograph demonstrate the landscape of land use, the problems of land cultivation, and the overall situation of spatial planning in the territories. Of particular importance is the authors' view on the role of the state in economic, organizational, and institutional aspects of land use. The authors emphasize that the issue of land and its resolution must be organically derived from the national interests and public expediency of their own country. Additionally, they draw insights from the land use experiences of Germany, Switzerland, and Austria to strengthen their position.

Gentlemen R. Asatian and P. Koguashvili underscore the high correlation between effective land use and the foundation of a robust agrarian sector and its implications for the entire country. They argue that achieving this requires inclusive entrepreneurial development and taking into account modern international experiences. The paper contains numerous recommendations for fostering an appropriate model of cooperation and for the establishment and development of social and industrial infrastructure, including the adaptation of effective foreign models based on cooperation with Georgian reality, preference for community cooperatives, utilization of pastures for rural areas, return to the permanent use of pastures, water, and forest funds, as well as shared agricultural or communal infrastructure, etc.

According to the authors, the main direction for the development of agriculture and the entire

agrarian sector is the modernization of this field to meet modern needs. Accelerated development and increased incentives for activities and investments require state-sponsored measures such as: A) State Support Programs; B) Specialized agroscredit systems and access to affordable credit for farms; C) Aggroinsurance; D) Affordable fuel; E) Innovative technologies.

To achieve this, the authors propose a mega-project of action to be undertaken before 2030, with the participation of the "Specialized/Agrarian Investment Fund" and State and International Financial Institutions. The project aims to direct the country's banking and financial institutions toward the high-tech sector of the agri-food sector for transformation. The proposal also includes introducing preferential regimes for Georgian-foreign companies operating in this field, focusing on specialized agro-innovative, agritourism, agro-training, and creating agro-industrial and other zones, taking into account the regional diversity of the country.

This monograph is not a typical scientific publication. It serves as a comprehensive program of action prepared and proposed by the government at the highest academic level. The government's attention and recommendations for rural development should be taken into account, including granting legal status to the village and restoring the village governing body. This grants the village the status of a legal entity and the right to own property and utilize land permanently, while also obliging the village to maintain soil fertility and improve environmental conditions.

Given its complex nature, theoretical conclusions, and practical recommendations, this monograph should become a valuable resource not only for representatives of the academic field but also for those engaged in the development and implementation of agrarian policy in the country. Moreover, it is recommended for use in higher education institutions with an economic profile when teaching various topics.

Joseph Archvadze, Doctor of Economics, Professor at Kutaisi University
Nikoloz Chikhladze, Doctor of Economics, Professor at Kutaisi University

კომპიუტერული უზრუნველყოფა და დაკაბადონება
ლევან იობაძე

ქალაქის ზომა 1/8
ნაბეჭდი თაბახი 6,25

დაიბეჭდა ი.მ. „მარიამ იობაძის“ მიერ
ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი 25-ა
ტელ. 579-10-13-23; 592-02-25-55; 599-18-20-98